ახალი განათლება

2009 წელი, 4 - 10 ივნისი

ფასი 90 თეთრი

№21 (455) გამოდის 1998 წლიდან

პიონერფილმი – 50

1 ივნისს თბილისს კიდევ ერთი ახალი ვარსკვლავი შეემატა — დაარსებიდან 50-ე წლისთავზე, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის წინ, სტუდია „პიონერფილმის“ ვარსკვლავი გაიხსნა. საზეიმო ცერემონიალს წინ უსწრებდა რიგით X ფესტივალი, რომელშიც 60-ზე მეტი ფილმი მონაწილეობდა. გრანპრის მფლობელი გახდა ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სტუდენტი გიორგი მაღრაძე; უნიკას წლის მედალი გადაეცა სტუდიის ხელმძღვანელს, გრიგოლ ჩიგოგიძეს; ჟიურის მთავარი პრიზი კი — იუმორისტულ ფილმს „აბა დელი, დელი აბა“. გამოვლინდნენ, აგრეთვე, სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები.

წარმოგიდგენთ კერძო მრავალპროფილიან საშუალო სკოლას „ივერია“ გვერდი 5

ამოცანები მოძრაობებზე სწავლებისას

ვიგოცკის თეორია და განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა დაწყებით კლასებში გვერდი 6-7

სიახლეები განათლებასა და მეცნიერებაში
მაისი, 2009

მთავარი სიახლეები

- ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილე 30 საუკეთესო სკოლა და დასკვნით ტურში გამარჯვებული მოსწავლეები ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ;
- 100 უფროსკლასელი მოსწავლე ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლებლად გაემგზავრება;
- საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია წელსაც გაგრძელდება.

გვერდი 3

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აცხადებს კონკურსს
შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

ბიზნესის მართვისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:
მკვლევარი ასისტენტი – 6 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია

ენათა სკოლა:
ასისტენტ-პროფესორი – 2 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:
ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია

კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტი:
ასისტენტ-პროფესორი – 2 ვაკანსია
მკვლევარი ასისტენტი – 1 ვაკანსია

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
- ფოტოსურათი
- დიპლომის ასლი
- განცხადება
- პუბლიკაციების ქსეროასლი

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2009 წლის 15 ივნისი.
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 59 50 05 (131)
საკონტაქტო პირი:
პრორექტორი, პროფესორი, დოქტორი ნათელა დოღონაძე

სტუმრად მოხუცთა პანსიონატში

ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „ტაძარი“ 2003 წელს დაარსდა ქორეოგრაფების – **გიული მერაბიშვილის** და **გოჩა გაბაშვილის** ხელმძღვანელობით და ექვსი წლის განმავლობაში, მათი დაუღალავი შრომით, მრავალ წარმატებას მიაღწია.

ანსამბლი „ტაძარი“ დღესაც წარმატებით აგრძელებს მუშაობას თბილისის 149-ე საჯარო სკოლაში. 21 მაისს, მოხუცთა პანსიონატ „სავანეში“ გამართულ სასკოლო ღონისძიებაზე, ანსამბლმა კიდევ ერთი ლამაზი დღე აჩუქა პანსიონატის ბინადართ, რასაც პასუხად არაერთი სამადლობელი სიტყვა და მქუხარე ტაში მოჰყვა ჯილდოდ.

არაჩვეულებრივი ისტორია აქვს ანსამბლ „ტაძარს“. განვლილი წლების განმავლობაში მოპოვებული წარმატებები ნათელი დასტურია იმისა, რომ ხელმძღვანელები – გიული მერაბიშვილი და გოჩა გაბაშვილი მაქსიმალურად იხარჯებიან, უყვართ თავიანთი საქმე და ცდილობენ, ქართული ხალხური ცეკვის ხიბლს მომავალი თაობებიც აზიარონ.

პირველი წარმატებული კონცერტი დაარსების პირველსავე წელს გაიმართა სამხედრო აკადემიაში, შემდეგ კი, 2004 წელს – რკინიგზელთა კულტურის სასახლეში, რისთვისაც დაჯილდოვდა დიპლომით, საუკეთესო დებიუტისთვის.

ანსამბლი „ტაძარი“ ასევე წარმატებით წარდგა მაყურებლის წინაშე. 2006 წელს გამართულ საესტრადო და ხალხური შემოქმედების III რესპუბლიკურ ფესტივალზე, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც დაჯილდოვდა დიპლომით და მედლით.

ასევე დიპლომებითა და მედლებით დაბრუნდა ანსამბლი 2008 წელს ქობულეთში გამართული ფესტივალიდან „ოქროს თევზი“.

2009 წელს ქართული კულტურის, ფოლკლორის განვითარების საერთაშორისო ურთიერთობათა პროფესიულმა კავშირმა ლაურეატობა მიანიჭა ანსამბლის ყველა წევრს და დიპლომებითა და მედლებით დააჯილდოვა.

ანსამბლი მონაწილეობას იღებს მრავალ საქველმოქმედო კონცერტში, ერთ-ერთი მათგანი ამა წლის გაზაფხულზე გაიმართა ოპერის თეატრში, რომელიც ტელევიზიითაც გაშუქდა.

ანსამბლმა „ტაძარი“ შარშან მოწვევა მიიღო თურქეთის კურორტ სიდედან, სადაც წარმატებით წარადგინა საქართველოს კულტურა უცხოელი დამსვენებლების წინაშე, ამის ნათელი დასტურია ის, რომ ანსამბლი წელსაც მოიწვიეს, ამჯერად, ქალაქ ალანიაში გამართულ ფესტივალზე, საიდანაც კიდევ ერთი დიპლომით დაბრუნდა.

ანსამბლის ხელმძღვანელები მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდებიან, მთელი რუდუნებით ეკიდებიან საშვილიშვილო საქმეს და კვლავაც მრავალჯერ გაგვახარებენ ახალ-ახალი წარმატებებით.

ინფორმაცია

საუკეთესო მაგალითი კოლეგებისთვის

26 მაისი...

კიდევ ერთი ლამაზი დღე №8 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ცხოვრებაში – საინტერესო შეხვედრა სკოლის ყოფილ დირექტორთან, ომგადახდილ პედაგოგთან, ყველასთვის საყვარელ **აკაკი კივილაძესთან**.

ისმის მეექვსეკლასელი ვაჟების მიერ შესრულებული „მრავალჟამიერი“. ჩვეული ღიმილით შემოაბიჯა აკაკი მასწავლებელმა სააქტო დარბაზში. ფეხზე ადგომითა და ტაშით შეეგება შეკრებილი საზოგადოება.

ისევ მეექვსეკლასელი ბიჭები მიმართავენ თაობათა აღმზრდელს, ომისა და შრომის ქარცეცხლში გამოწრთობილ მასწავლებელს. X-კლასელი გოგონები კი საინტერესოდ ყვებიან კივილაძეთა მრავალშვილიანი ოჯახის ისტორიას – რვა შვილიდან ოთხი დიდ სამამულო ომში გაისტუმრეს, მაგრამ მოხდა სასწაული და ოთხივე დაუბრუნდა მშობლიურ კერას. შემდეგ დაიწყო ბატონი აკაკის სწავლისა და შრომის ისტორია: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი; თეთრიწყაროს ქართული სკოლის თავკაცობა; თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე... 1969 წელს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, 1973 წლიდან 2006 წლამდე №8 საჯარო სკოლის დირექტორობა – „ნდობის სკოლა“, „კივილაძის სკოლა“, „დიდი ტრადიციების სკოლა“.

ათეული წლები იარა აკაკი მასწავლებელმა ამ გზით. ურყევი რწმენითა და თავგამოდებით შეინარჩუნა სკოლა, რათა მომავალი თაობისთვის გადაეცა, მოახერხა კიდეც.

II-კლასელი **ნიკა სიხუაშვილი** და VIII-X კლასის მოსწავლები – დები **სალომე** და **მარიამ ჩიკვაიძეები** ტკბილი ჰანგებით ალამაზებდნენ ღონისძიებას. ქართულ ცეკვებს ასრულებდა სკოლის ქორეოგრაფიული სტუდია „სალხინო“ (ქორეოგრაფები **ოლეგ** და **ნონა ბაღდავაძეები**); მაყურებლისთვის სრულიად მოულოდნელად დარბაზში გუდასტვირით შემოდის სახალხო მთქმელი **შერმადინ ჩაგელიშვილი** (ეს პედაგოგ **დარეჯან ჯოჯუას** ჩვეული სიურპრიზია), რომელმაც საკუთარი ტექსტით კიდევ ერთხელ გააცოცხლა რაჭული ჰანგები; ღონისძიებას ამშვენებდა სკოლის საინფორმაციო მენეჯერის, **მარინა უხურგუნაშვილის** მიერ მომზადებული ფოტო და ვიდეომასალები.

საინტერესოდ წარდგა აუდიტორიის წინაშე მესამეკლასელი **ბექა ყორიაული**; ხალხური სიმღერები შეასრულეს მეექვსეკლასელმა ვაჟებმ ა (მასწავლებელი – **ციცო მექვაბიშვილი**).

...დარბაზი ისევ აკაკი მასწავლებელს უსმენს. როგორც ყოველთვის, დღესაც საინტერესოა მისი ნაამბობი. მადლიერებას არ მალავს სკოლის პედაგოგების, მოსწავლეებისა და მშობლების მიმართ. განსაკუთრებით მადლიერია სკოლის დირექტორის, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის, ქალბატონ **ნინო ყუფარაძის**, რომელმაც ღირსეულად ჩაიბარა ესტაფეტა და რომელიც პირველი ულოცავს ხოლმე ყოველ მნიშვნელოვან თარიღს. მან მადლიერების სიტყვებით მიმართა უფროს კოლეგასა და ღონისძიების მონაწილე პედაგოგებსა და მოსწავლეებს, ღონისძიების ორგანიზატორს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს **ნათელა დობორჯგინიძეს**.

„გამორჩეულად მიყვარს ბატონი აკაკი, ეს არის სახე ზნესრულობისა, რომელმაც ათი წლის წინ დიდი სიყვარულით მიმიღო ამ სკოლაში და ამ ხნის მანძილზე მხოლოდ სიწმინდე, პრინციპულობა, სამართლიანობა და ახლის ძიება შევითვისე მისგან. ის საუკეთესო მაგალითია კოლეგებისთვის, სკოლის საამაყო წარსულის, აწმყოსა და მომავლის დასაყრდენია“. – ამბობს ქალბატონი ნინო.

მარინა გენიძე

პროფესიული სასწავლებლების სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა

აპრილის თვიდან, ყოველ შაბათ-კვირას, სიღნაღის ცენტრში პროფესიული სწავლების ცენტრების სტუდენტები თავიანთი ნამუშევრების გამოფენას აწყობენ. 23 მაისს გამოფენა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **ნიკა გვარამიამ** დაათვალიერა. სტუდენტებს, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, წარმოდგენილი ჰქონდათ ხალხური რეწვის ნიმუშები – ხალიჩები, თექა, გობელენი და ხის ნამუშევრები. სტუდენტებმა ღია ცის ქვეშ კულინარიული ხელოვნების დემონსტრირებაც მოახდინეს.

„ვფიქრობ, ძალიან კარგი ტრადიციაა. პროფესიული განათლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, ეს უმოკლესი გზაა დასაქმებისკენ,“ – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, 30-მდე პროფესიული ცენტრის დირექტორებთან ერთად, სიღნაღის ხალიჩების საქსოვ ფაბრიკასაც ეწვია. ფაბრიკაში ხალიჩები ძველი ტრადიციებითა და უნიკალური ქართული ორნამენტებით იქსოვება. მინისტრმა სურვილი გამოთქვა, მომავალში პროფესიულ ცენტრებშიც გადაამზადონ ამ პროფილის სტუდენტები.

ამავე ფაბრიკაში პროფესიული ცენტრების დირექტორებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ხელმძღვანელებმა პროფესიულ სასწავლებლებში არსებულ მდგომარეობაზე, მიღწეულ წარმატებებსა და, რაც მთავარია, პრობლემებზე ისაუბრეს, რამდენიმე დირექტორმა პრობლემების მოგვარების საკუთარი ხედვაც წარმოადგინა.

შეხვედრის ბოლოს ნიკა გვარამიამ დირექტორებს მთავრობისა და სამინისტროს გეგმები გააცნო სახელობო სწავლებასთან, პროფესიულ სასწავლებლებთან და მათ რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

ღონისძიებებში, ასევე, მონაწილეობდნენ: **ირინე ქურდაძე** – მინისტრის პირველი მოადგილე, **ირაკლი თოდუა** – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი, **მაია ჩანქსელიანი** – პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი და სამინისტროს თანამშრომლები.

თბილისის №118 საჯარო სკოლა იუწყება, რომ გარდაიცვალა მათემატიკის მასწავლებელი
პავლე ყულოშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სიახლეები განათლებასა და მეცნიერებაში
მაისი, 2009

ზოგადი განათლება

ნიკა გვარამიამ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილე 30 საუკეთესო სკოლა გამოავლინა და დასკვნით ტურში გამარჯვებული მოსწავლეები ფულადი პრემიებით დააჯილდოვა

სახელმწიფო ცერემონიალზე უმაღლესი შედეგების მქონე 110 მოსწავლე დიპლომებით და სხვადასხვა ფულადი პრემიით დაჯილდოვდა : I პრემიის მფლობელ მოსწავლეებს 1 000 ლარი გადაეცათ, II პრემიის მფლობელებს - 700 ლარი; III პრემიის მფლობელებს კი - 500 ლარი.
ღონისძიებაზე გამოვლინდა ოლიმპიადაში მონაწილე 30 საუკეთესო სკოლაც, რომლებიც დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიებით 5000, 4000 და 3000 ლარის ოდენობით. გამარჯვებულ სკოლებს შორის არიან თბილისის, ქუთაისის, ტყიბულის, ოზურგეთის, ცაგერის, ზუგდიდის, ამბროლაურის, ონის, ბაღდათის და სხვა რეგიონების საჯარო და კერძო სკოლები.
წელს ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობის სურვილი 130 000-ზე მეტმა მოსწავლემ გამოთქვა და მასში საქართველოს სკოლების 95% მონაწილეობდა.
დასკვნით ტურში გამარჯვებული საუკეთესო მოსწავლეები ეროვნული ნაკრების წევრები გახდებიან და მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადაში მიიღებენ მონაწილეობას.
ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა.

საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია წელსაც გაგრძელდება

პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის "ალიოს გოგუა"ფარგლებში, წელს საქართველოს მასშტაბით 300-მდე საჯარო სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდება. ამისათვის ბიუჯეტიდან 30 მილიონ ლარამდე დაიხარჯება. აქედან 50-მდე სკოლის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო შეასრულებს. 250-მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაციას ადგილობრივი თვითმართველობა განახორციელებს. დამატებით, 70-მდე სკოლის რეაბილიტაცია დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდება, რასაც 18 მილიონ ლარამდე დაიხარჯება. 2009-2010 წლებში 23 ახალი სკოლა აშენდება გურიაში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, იმერეთში, სამეგრელო ზემო-სვანეთსა და ქვემო ქართლში. შედეგად, გაუმჯობესებულ სასკოლო გარემოში კიდევ 100 ათასი მოსწავლე იმყოფება.
რეაბილიტაციის გეგმები განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორმა ირაკლი თოდუამ 45-მდე სამშენებელი კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში, 100 უფროსკლასელი მოსწავლე ამერიკაში სასწავლებლად გაემგზავრება

წელს პირველად, მას შემდეგ, რაც 2009 წელს ხელი მოეწერა "აშშ-საქართველოს ქარტიას", განათლების სფეროში თანამშრომლობა ახალ ფაზაში შევიდა. განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ და ამერიკის საბჭოების დირექტორმა საქართველოში ტიმოთი ბლაუელტმა ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი.
FLEX-ის პროგრამის ფარგლებში, უკვე 17 წელია, საქართველოს სკოლებიდან შერჩეული 50 უფროსკლასელი ერთი აკადემიური წლით მიემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლებლად. პროგრამა ყოველწლიურად ხორციელდება და მას ამერიკის მხარე სრულად აფინანსებს.
ახალი შეთანხმების თანახმად, საქართველოს მთავრობა პირველად დააფინანსებს დამატებით 50 მოსწავლეს, რომლებიც 1 წელი ამერიკაში ისწავლიან. ამაზე ბიუჯეტიდან 1 მილიონ ლარამდეა გათვალისწინებული.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია ვეტერან - პედაგოგებს შეხვდა

მინისტრი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 30-მდე ვეტერან პედაგოგს შეხვდა და 200-ლარიანი ფულადი პრემიები გადასცა. ღონისძიება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანაორგანიზატორობით მოეწყო.
გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ომის ვეტერან პედაგოგებს უკვე მესამე წელია ეხმიდეოდებს.

საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა დედაქალაქის 150 916 მოსწავლისთვის კიდევ უფრო კომფორტული გახდება

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხატრანსპორტო შეღავათების თაობაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ და თბილისის მერმა გიგი უგულავამ თბილისის №92-ე საჯარო სკოლაში მოაწერეს ხელი.
მემორანდუმის საფუძველზე, მასწავლებელთა და მოსწავლეთა სოციალური პირობების გაუმჯობესებისთვის, თბილისის საჯარო სკოლების 151 ათასამდე მოსწავლე მგზავრობას ბარათის მიღებს და უფასოდ იმგზავრებს.
ეს პროგრამა თბილისის მერის ინიციატივით მეორე წელია მოქმედებს და მომავალშიც გაგრძელდება. საზოგადოებრივ ტრანსპორტზე შეღავათებით უკვე სარგებლობს დედაქალაქის 11 871 პედაგოგი.

მინისტრი გურიის რეგიონის 200-მდე პედაგოგს შეხვდა

ნიკა გვარამიამ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლაში რეგიონის პედაგოგებთან შეხვედრაზე განათლების რეფორმის საპასუხოებზე, განათლების ხარისხზე, სკოლებში წესრიგის გაუმჯობესებაზე ისაუბრა, მან ასევე პედაგოგების შეკითხვებს უპასუხა. შეხვედრაზე, მინისტრმა პრეზიდენტის სტიპენდიანტ 20 პედაგოგს სერთიფიკატები გადასცა.
წელს გურიის რეგიონში 2 საჯარო სკოლის მშენებლობა დაიწყება, ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდება 26 სკოლას. ამაზე 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1,5 მლ. ლარი დაიხარჯება.

საქართველოს 2000-ზე მეტ საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოს არჩევნები გაიმართება

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნიკა გვარამიას ბრძანებით, საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოების ხელახალი არჩევნები 2009 წლის 14 ივნისს გაიმართება. სკოლების სამეურვეო საბჭოები 3 წლის ვადით აირჩევა და მასში მასწავლებლები და მშობლები მიიღებენ მონაწილეობას. სკოლაში, რომელშიც სწავლობს 500 მოსწავლეზე მეტი, სამეურვეო საბჭოში შევა 12 წევრი; სკოლაში, რომელშიც სწავლობს 500 მოსწავლეზე ნაკლები – 6 წევრი. დადგენილი პროცედურის მიხედვით 24 მაისს დაიწყება საარჩევნო კომისიების წევრობის მსურველების რეგისტრაცია, რომელიც გაგრძელდება 29 მაისის 18:00 სთ-მდე.
სამეურვეო საბჭოს წევრობის მსურველების რეგისტრაცია საარჩევნო კომისიებში დაიწყება 2 ივნისს და გაგრძელდება 9 ივნისის 18:00 სთ-მდე.

საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის ეროვნული ნაკრების შესარჩევი ტურები გაიმართა

საქართველოს ნაკრები ეროვნულ ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეებისგან დაკომპლექტდება. წელს საერთაშორისო სასკოლო ოლიმპიადებზე საქართველო დელეგაციებს სამ დისციპლინაში (ფიზიკაში, მათემატიკასა და ინფორმატიკაში) წარადგენს.
ზაფხულში ნაკრების წევრები საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად მექსიკაში, გერმანიასა და ბულგარეთში გაემგზავრებიან.
მათემატიკის შესარჩევ ტურში - 43 მოსწავლე, ფიზიკის შესარჩევ ტურში - 28 მოსწავლე, ხოლო ინფორმატიკის შესარჩევ ტურში - 19 მოსწავლე მონაწილეობდა.
საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად ნაკრების წევრები და რეზერვისტები 1-თვიან მომზადებას გაივლიან.
გამარჯვებული მოსწავლეები ფულადი პრიზებით დაჯილდოვდებიან: ოქროს მედლის მფლობელი - 5 000 ლარით; ვერცხლის მედლის მფლობელი- 3000 ლარით; ბრინჯაოს მედლის მფლობელი -2 000 ლარით.
წელს პირველად საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების შერჩევას, მომზადებასა და მონაწილეობის ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

პირველად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ოლიმპიურ თემატიკაზე ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი ჩატარდა

კონკურსი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით, განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თანაორგანიზატორობით მოეწყო. მისი მიზანია ოლიმპიზმის განვითარება და პოპულარიზაცია საჯარო სკოლებში. კონკურსის შედეგად გამოვლინდება საუკეთესო ნამუშევრები ოლიმპიურ თემატიკაზე. კონკურსი ორ ეტაპს მოიცავს: I ეტაპზე საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოვლინდებიან გამარჯვებულები ეროვნულ დონეზე; II ეტაპზე გამარჯვებულები გამოვლინდებიან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ. კონკურსი ტარდება ორ ასაკობრივ ჯგუფში: 12 წლამდე ასაკის მოზარდებში და 12-18 წლამდე ასაკის მოზარდებში.

უმაღლესი განათლება

საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების მსურველთათვის ღია კარის დღე მოეწყო

შეხვედრაზე გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა მაგისტრანტობის კანდიდატებს დეტალურად გააცნეს საერთო სამაგისტრო გამოცდის როგორც პროცედურული, ისე შინაარსობრივი მხარე. წელს პირველად აპრობირებულ უმაღლეს სასწავლებელში მაგისტრანტებს სახელმწიფო დაუფინანსებს. მაგისტრატურაში ჩასაბარებლად მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა გაიაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და გამოცდა სპეციალობაში. სპეციალობის გამოცდას განსაზღვრავს და აბარებს ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც მაგისტრანტობის კანდიდატს სურს სწავლის გაგრძელება.

პროფესიული განათლება

სიღნაღში პროფესიული სასწავლებლების სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა გაიმართა

სიღნაღში პროფესიული სწავლების 15 ცენტრის სტუდენტებმა ხალხური რწყვის, ხალიჩის, თექის, გობელინის, ხის ნამუშევრები გამოფინეს და კულინარული ხელოვნების დემონსტრირება ღია ცის ქვეშ გამართეს. გამოფენა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ და მინისტრის პირველმა მოადგილემ ირინე ჭურდაძემ დაათვალიერეს.
ნიკა გვარამია სიღნაღის ხალიჩების საქსოვ ფაბრიკასაც ეწვია და 28 პროფესიული ცენტრის დირექტორებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე პროფესიულ სასწავლებლებში არსებული მდგომარეობა და სამომავლო გეგმები განიხილეს.
ახალი ტიპის პროფესიული სწავლების ცენტრებში ყოველწლიურად სახელმწიფო დაფინანსებით 6 000-ზე მეტი ადამიანი იღებს პროფესიულ განათლებას. 2006 წლიდან 13 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მათი სახელოსნო-ლაბორატორიების აღჭურვა განხორციელდა, რაზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 11,7 მლნ. ლარი დაიხარჯა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
თბილისი 0102, უზნაძის ქ. 52, ტელ/ფაქსი: 438 819 ელ.ფოსტა: pr@mes.gov.ge

ახალი სახელმძღვანელოები
2009-2010 სასწავლო წლისათვის
გამომცემლობა
„საქართველოს მაცნე“

დედაენა – I კლასი

ე. როდონაია, მ. მირიანაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ქ. თოფაძე

ავტორთა ჯგუფი გთავაზობთ შემდეგ სასწავლო კომპლექტს:
1 მოსწავლის წიგნი – „დედაენა“;
2. სამუშაო რვეული;
3. თვალსაჩინოება: ანბან-პლაკატი, საანბანო ლოტო, ინდივიდუალური მოძრავი ანბანი, საკლასო მოძრავი ანბანი;
4. მასწავლებლის წიგნი.

მათემატიკა – I კლასი

ერიკ უიტმენი, გერჰარდ მიულერი

წარმოდგენილი კომპლექტი ოთხი ნაწილისაგან შედგება: ძირითადი სასწავლო სახელმძღვანელო, მისი სამუშაო რვეული და სახალისო მათემატიკა – „მაკნატუნა“, აგრეთვე სამუშაო რვეულის თანხლებით.

ბუნება – I კლასი

მ. ბოჭორიშვილი, თ. ხატიაშვილი, ნ. გაბისონია

სიახლე! მოსწავლის წიგნს ახლავს „მშობლის სამახსოვრო“, სადაც თითოეული გაკვეთილის მიხედვით მშობელი ეცნობა, თუ რა გააკეთა გაკვეთილზე მისმა შვილმა.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება – I კლასი

მ. იორამაშვილი

ხატვის სწავლების მეთოდი შედგენილია პრინციპით – მარტივიდან რთულისაკენ. ხატვის შესწავლა ხდება ნელ-ნელა, ეტაპობრივად.

ქართული ენა – IV კლასი

ვ. როდონაია, მ. მირიანაშვილი, ლ. ვაშაკიძე

სახელმძღვანელოში ინტეგრირებულია ენისა და ლიტერატურის სწავლება გააქტიურებულია ლიტერატურული აზროვნების განმავითარებელი ამოცანები.

ENGLISH IS EASY – IV კლასი

ვ. კუპრაშვილი, ქ. მაღლაკელიძე

სახელმძრვანელო წარმატებით დანერგილი III კლასის წიგნის ლოგიკური გაგრძელებაა. მას ახლავს სამუშაო რვეული, მასწავლებლის წიგნი ყველა გაკვეთილის განხილვით, აუდიო კასეტა და კომპაქტური დისკი.

რუსული ენა – IV კლასი

ა. ტერ-სარქისოვა, ლ. პატარაია, ე. სარალიძე

სახელმძღვანელოს მიზანია სამეტყველო უნარ-ჩვევების გამომუშავება, მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის ზრდა, კომუნიკაციური კომპეტენციის ფორმირება.

ბუნება – IV კლასი

მ. ბოჭორიშვილი, ნ.გაბისონია

სახელმძღვანელოს გაკვეთილები აგებულია ინტერაქტიულ მეთოდიკაზე. გაკვეთილებში არის ერთნაირი დიზაინით გაკეთებული რუბრიკები: დავალება, ცდა, უპასუხე კითხვებს, ეს საინტერესოა...

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება – IV კლასი



მ. იორამაშვილი

სახელმძღვანელო წარმოადგენს პირველი – მესამე კლასების სახელმძღვანელოების მიხედვით გასავლელი თემების ნაწილობრივ გაგრძელებასაც დაგროვილი ცოდნის გამყარება – გაღრმავებას და პარალელურად ახალი თემების და მოთხოვნების შესწავლას.

ხელოვნება – X კლასი

თ. ჯალაღანია, ჯ.ჯობავა

სახელმძღვანელო საშუალებას აძლევს მოსწავლეს გადადგას კიდევ ერთი ნაბიჯი ხელოვნების მშვენიერი სამყაროს შეცნობის გზაზე.

ფიზიკა – X კლასი

თ. გაჩეჩილაძე, ლ. ჩიჩუა, რ. ქანთარია

სახელმძღვანელოს ყოველი პარაგრაფი აგებულია ინტერაქტიური გაკვეთილის მოდელის მიხედვით და შეიცავს როგორც საგაკვეთილო ტექსტს ასევე რამდენიმე რუბრიკას.

ბიოლოგია – X კლასი

მ. სეხნიაშვილი, დ. ლორთქიფანიძე

სახელმძღვანელოში ინფორმაციის მიწოდების მრავალი საშუალებაა გამოყენებული – ტექსტი, ილუსტრაცია, სქემა, მოდელი, ცხრილი და სხვა.

ისტორია – X კლასი

მ. ფირჩხაძე, ლ. ახალაძე

სახელმძღვანელო შედგება ათი თავისაგან. თითოეული თავი იყოფა თემებად. თავების ბოლოს მოცემულია შემაჯამებელი მასალა. სახელმძღვანელო ილუსტრირებულია. შეიცავს ლექსიკონს და დიდ მოაზროვნეთა შესახებ დამატებით ინფორმაციას.

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
და სასკოლო სახელმძღვანელოების
სადისტრიბუციო სამსახური „ მაცნე პლიუსი“
გთავაზობთ:
ფასდაკლების მოქნილ სისტემას;
წიგნების ადგილზე მიტანას (თბილისის სკოლებისთვის უფასოდ);

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“:
ტელ.: 39-07-27; ტელ./ფაქსი: 42-10-00
სადისტრიბუციო სამსახური „მაცნე პლიუს“
ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 34 ნაკვ.23 (შანხაის დასახლება)
ტელ:. 30 66 05; 899 73 02 01

წარმოგიდგენთ კერძო სკოლას

კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ივერია“

„სკოლის გახსნის სურვილი იმ პერიოდში გამიჩნდა, როცა ძალიან უჭირდა ქვეყანას და შესაბამისად, უჭირდა სკოლასაც. სასწავლო პროცესი შეფერხებით მიმდინარეობდა და დაბალი იყო სწავლების დონე. სკოლაში მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით, მინდოდა რაიმე ახალი შემექმნა, ვგულისხმობ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას სიახლეების შემოტანით, ბავშვებისათვის საინტერესო, ხალისიანი, ამასთანავე, მყუდრო გარემოს შექმნას. უსაზღვრო სურვილი მქონდა, ჩემი სკოლა აღსავსე ყოფილიყო ბავშვებისადმი დიდი სითბოთი და სიყვარულით.“

კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ივერიის“
დირექტორი ნინო გერგიძე

სკოლა „ივერია“ გთავაზობთ:

- ინგლისური ენის გაძლიერებულ სწავლებას I კლასიდან;
- გერმანული და რუსული ენის სწავლებას;
- მათემატიკის გაძლიერებულ სწავლებას;
- უნარ-ჩვევების სპეციალურ კურსს;
- ჭადრაკის გაკვეთილებს I კლასიდან;
- ლოგიკის (მეტყველების) გაკვეთილები I-IV კლასებში;
- კარატეს, აერობიკას, მხატვრულ ტანვარჯიშს;
- მუსიკის გაკვეთილებს;
- სწავლების მესამე საფეხურზე (X, XI, XII კლასები) ქართულის, მათემატიკის, უცხოური ენისა და უნარ-ჩვევების გაძლიერებულ სწავლებას;
- მოთხოვნის შემთხვევაში: საქართველოს ისტორიისა და საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერებულ სწავლებას;
- ხალხური სიმღერებისა და საგალობლების შესწავლას;
- ხატვისა და ხატწერის შესწავლას;
- გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფებს უმცროსკლასელთათვის;
- მოზარდებს ორი მიკროავტობუსი ემსახურება – გაკვეთილებზე მოჰყავთ და გაკვეთილების შემდეგ ოჯახებში მიჰყავთ ბავშვები;
- მოზარდების ფიზიკური და ფსიქოლოგიური დახმარებისთვის სკოლას ჰყავს ექიმი და ფსიქოლოგი.

სკოლა „ივერიასთან“ არსებულ ხელოვნების სკოლაში
(დამფუძნებელი – **დავით რიჟამაძე**) გახსნილია:

- მუსიკალური;
- თეატრალური;
- ხალხური სიმღერისა და ცეკვის;
- სპორტული ცეკვების შემსწავლელი სტუდიები;
- ხატვისა და ფერწერის წრეები.

ბიბლიოთეკაში

სკოლის მისია: კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ივერია“ ორიენტირებულია მოსწავლე ახალგაზრდობის ინტელექტუალურ, ფიზიკურ და სულიერ განვითარებაზე.

„ივერია“ ათი წლის წინ შეიქმნა. თავიდანვე მოიპოვა პოპულარობა და დღეს ერთ-ერთ ძლიერ სკოლად მიიჩნევა. სკოლას მაღალკვალიფიციური და გამოცდილი პედკოლექტივი ემსახურება.

უაღრესად თბილი და მზრუნველი გარემო, მოსწავლე-მასწავლებლების ურთიერთპატივისცემა, მშობლებისადმი კეთილგანწყობა და ერთობლივი ზრუნვა აღსაზრდელის სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის – ასეთია სკოლა „ივერიის“ სავიზიტო ბარათი.

„ივერიას“ უკვე სამი გამოშვება ჰყავს, აქედან 75% მნიშვნელოვანი გრანტებით სწავლობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლაში სისტემატურად იმართება კონფერენციები, სპორტული შეჯიბრებები, ბავშვთა შემოქმედებითი გამოფენები, ექსკურსიები (სკოლის მოსწავლეებს, თითქმის, მთელი საქართველო აქვთ შემოვლილი), საჭადრაკო ტურნირები, ინტელექტუალური თამაშები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და ა.შ.

სკოლაში თანაბარი ყურადღება ეთმობა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სწავლებას.

სკოლის ტრადიცია: გახსნის დღიდან ყოველი ახალი სასწავლო წლის პირველი დღე მამა ავთანდილის (სვეტიცხოვლის ტაძრის მოძღვარი) ლოცვა-კურთხევით იწყება.

მიზანი: გვინდა, ღირსეული ქართველები აღვუზარდოთ საქართველოს, საქართველო – ივერიაა!

სკოლა „ივერიის“ მოჭადრაკეთა გუნდმა III-V ადგილი დაიკავა საქართველოს პირველ ჩემპიონატში სკოლებს შორის. ამ შეჯიბრში მონაწილეობდა 63 გუნდი

„ივერიელები“ უთუოდ გააბრწყინებენ ივერიას...

მეთოდიკა

თემა: სიჩქარე, დრო, მანძილი. ამოცანები მოძრაობებზე სწავლებისას

თემის „მანძილი, სიჩქარე, დრო“ შესწავლის მომენტისათვის მოსწავლეებს თუ უკვე აქვთ წარმოდგენა სხეულების ერთი და იმავე და სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობაზე, მასშტაბზე და შეუძლიათ რუკაზე ორ ქალაქს შორის მანძილის განსაზღვრა, ხომ კარგი, თუ არა, მაშინ ამ ტიპის ამოცანებზე გადასვლამდე, საჭიროა ამ კუთხით უდიდესი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება.

მაგალითად, მოსწავლეებს უნდა ჩაუტარდეთ პრაქტიკული მეცადინეობები ქუჩაში მოძრაობის წესების შესახებ, უნდა ვაწარმოოთ ტრანსპორტის მოძრაობაზე დაკვირვება, მოვაწყოთ ორი მოსწავლის მოძრაობის ინსცენირება სასკოლო ეზოს მოპირდაპირე ბოლოებიდან, როგორც ერთმანეთის, ასევე საპირისპირო მიმართულებით, ამასთან თითოეული მათგანისათვის, უნდა ვითვლიდეთ მათ მიერ გადადგმული ნაბიჯების (მეტრების) რაოდენობას შეხვედრამდე.

მოსწავლეთა ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ სხეულები, შესაძლებელია, მოძრაობდნენ ჩქარა და ნელა, შეუძლიათ გაჩერდნენ, იმოძრაონ სწორ ხაზზე და მრუდზე, შესაძლოა, მოძრაობდნენ თანაბრად, მაგ. მანქანები 80 კმ/სთ სიჩქარით.

ბავშვები აკვირდებიან, რომ შემხვედრი მიმართულებით მოძრაობისას სხეულები უახლოვდებიან ერთმანეთს (ხოლო შემდეგ, მოძრაობის გაგრძელების შემთხვევაში, შორდებიან), საპირისპირო მიმართულებით მოძრაობისას – შორდებიან. ასეთი დაკვირვებები, რომელთა ორგანიზება შესაძლებელია როგორც საგაკვეთილო, ასევე არასაგაკვეთილო დროს, მოსწავლეებს ეხმარება ამოცანების ამოხსნისას უკეთ წარმოიდგინონ ის მდგომარეობა, ის ცხოვრებისეული სიტუაცია, რომლის შესახებაც ამოცანაშია საუბარი. ცნების – „სიჩქარე“ გაცნობისას მოსწავლეები ითვლიან, რამდენ მეტრს (ნაბიჯს) გავლიან 2 წთ-ში, 1 წთ-ში, და ა.შ. პოულობენ თავის სიჩქარეს.

მოძრაობებზე ამოცანების ამოხსნის წარმატებას, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, უმეტესწილად განაპირობებს ის, თუ რამდენად ნათლად შეუძლია მოსწავლეს სხეულების მოძრაობის ყოველგვარი ნვრილმანის წარმოდგენა. ამიტომ, ასეთი მოძრაობის შესახებ ამოცანებზე გადასვლისას, უნდა ვისწრაფოდეთ, რომ ეს პროცესი გავხადოთ ხილული. ამისათვის წინასწარ ვამზადებთ მარტივ თვალსაჩინოებას: „ზოგიერთი საშუალო სიჩქარეები”, ცხრილის სახით. ესაა სურათები ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობებზე, სქემატურად ჩაწერილი სიჩქარეებით.

კარგი იქნება ფილმების ნახვა. ამ პროცესებზე დაკვირვების შესახებ აფორმებენ ჩანაწერებს.

მოცემული თემის შესწავლის შედეგად მოსწავლეებმა უნდა შეძლონ :

1) სიჩქარე განიხილონ, როგორც მანძილი, რომელსაც თანაბრად მოძრავი სხეული გადის დროის ერთეულში – სთ-ში; წთ-ში; წმ-ში;

2) დააკავშირონ ერთმანეთთან სიდიდეები – სიჩქარე, დრო, მანძილი;

3) ნათლად წარმოიდგინონ სხეულების მოძრაობის მიმართულება: შემხვედრი მოძრაობა, ერთი მიმართულებით მოძრაობა, საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა.

მოძრაობაზე მარტივი ამოცანების ამოხსნა ერთ-ერთი სიდიდის მოძებნაზე და შედგენილი ტიპური ამოცანები სხვადასხვა და ერთი და იმავე მიმართულებით მოძრაობაზე.

კეთებით სწავლება – კეთებით სწავლების, ანუ პრაქტიკის მეთოდის გამოყენების დროს ხდება ზუსტი ინსტრუქციის მიწოდება ექსპერიმენტის ან სიმულაციისათვის და არა ინფორმაციის მიწოდება. იგი მიზნად ისახავს მოსწავლეების მიერ ისეთი ქმედებების შესრულებას, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის ან უნარ-ჩვევის ფორმირებას.

პრაქტიკის დროს მასწავლებელი აქტიურად იყენებს მოსწავლეთა გამოხმაურებას (უკუკავშირს), რაც ხელს უწყობს მოსწავლის მიერ იმის გაცნობიერებას, თუ რას აკეთებს და რატომ აკეთებს.

მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა შესთავაზოს აქტივობის სქემა ან მოდელი, სადაც მიღწევის დონეები ნათლად იქნება წარმოდგენილი და მოსწავლეს შეეძლება განსაზღვროს, თუ რას მოელიან მისგან და როგორ ფასდება მისი წარმატება.

ამრიგად, პრაქტიკის მთავარი პრინციპებია: მოსწავლეებისათვის პრაქტიკული დავალების მიცემა, მათი წახალისება, სათანადო გამოხმაურების მიწოდება, რათა აზრიანად იმოქმედონ.

გაკვეთილის მსვლელობა, I საფეხური

მიზანი: სხეულების თანაბარი მოძრაობის სიჩქარის არსის დადგენა;
მარტივი კანონზომიერებების აღმოჩენა;
სიჩქარეს, დროს და მანძილს შორის დამოკიდებულებების ამოცნობის უნარების განვითარება;
ასოითი აღნიშვნების გამოყენების უნარების განვითარება;
თანამშრომლობითი უნარების განვითარების ხელშეწყობა;
მონაცემების წარმოდგენის და წაკითხვის უნარების ფორმირების დაწყება.

სასურველია, თუ იმდენივე უფროსკლასელს დაიხმართ, რამდენი ჯგუფიც შეიქმნება კლასში, გაკვეთილზე.

მასწავლებელს მოსწავლეები ჩაჰყავს ეზოში.

ეზოში უნდა იყოს სკამები, მაგიდა და ადგილი მოსწავლეთა ნამუშევრების განთავსებისათვის.

კლასი იყოფა 5-კაციან ჯგუფებად.

ჯგუფებს ურიგებს დიდი ფორმატის ფურცლებს, ფანქრებს, საშლელებს, საათებს წამმზომებით, მეტრიანებს, ფურცლების გასაკვრელად საჭირო საშუალებებს.

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ინსტრუქციას:

თითოეული ჯგუფიდან ორი მოსწავლე იღებს მონაწილეობას მოძრაობაში, ვის მოძრაობაზეც ხდება დაკვირვება.

ერთი მოსწავლე აღრიცხავს დროს.

მეორე აღრიცხავს ნაბიჯების რაოდენობას, განვლილ მანძილს.

მესამე აკეთებს მონაცემების ჩანაწერების აღრიცხვას და სთხოვს, გაინაწილონ როლები (სავარაუდო დრო – 3 წთ.).

აქტივობა 1. (სავარაუდო დრო – 20 წთ.)

მიზანი: მოძრაობის სისწრაფის დადგენა. სიჩქარის ცნების გააზრება. მონაცემების წარმოდგენის სახეების გააზრება; სიჩქარის გამოსათვლელი მათემატიკური მოდელის შემუშავება.

ინსტრუქცია: ა) დაადგინეთ, რამდენ ნაბიჯს გაივლიან მოსწავლეები (2 მოსწავლე) 2 წუთში;

ბ) დაადგინეთ, რამდენ ნაბიჯს გაივლიან მოსწავლეები 1 წუთში;

გ) როგორ დაადგენთ, ვინ უფრო სწრაფად, ნელა მოძრაობს?

დ) დააკავშირეთ თქვენ მიერ გამოყენებული სიდიდეები ერთმანეთთან და ჩაწერეთ გამოსახულების სახით.

სთავაზობთ, მოსწავლეთა შესაძლებლობებზე გათვლილ, სავარაუდო დროს დავალების შესასრულებლად.

ჯგუფები წარმოადგენენ ნამუშევრებს. საუბრობენ იმაზე, რაც გააკეთეს.

მასწავლებელი განიხილავს თითოეული ჯგუფის ნამუშევარს, მთელ კლასთან ერთად. ისინი უნდა გამოიფინოს ყველასათვის წასაკითხად მოსახერხებელ ადგილზე, რომელსაც მასწავლებელი წინასწარ შეარჩევს – სთ-ში; წთ-ში; წმ-ში.

აღნიშნავს მოსწავლეთა მიგნებებს, ცდილობს მათზე დაყრდნობით მიაწოდოს კომენტარები; მაგ: კარგი იყო მიგნება ამ ჯგუფისა (უთითებს რომელიმე ჯგუფზე), რომ მოძრაობის სისწრაფე შესაძლებელია დადგინდეს ნაბიჯების რაოდენობის გაყოფით იმ დროსთან, რა დროც ამ ნაბიჯების გადადგმას მოანდომეს; მარტივად წასაკითხი და გასააზრებელია მონაცემების წარმოდგენა ამ ჯგუფის ნამუშევრების მიხედვით (მიუთითებს სხვა ჯგუფზე); ჩვენ შევძელით სამი სიდიდის: სიჩქარის, დროის და ნაბიჯების რაოდენობის ერთმანეთთან დაკავშირება და ა. შ.

მოსწავლეები მათთვის საჭირო კომენტარებს ინიშნავენ რვეულებში.

აქტივობა 2. (სავარაუდო დრო –10 წთ).

მიზანი: შემხვედრი მიმართულებით მოძრაობაზე დაკვირვება და დაახლოების სიჩქარის სიდიდის განსაზღვრის გააზრება.

ინსტრუქცია: მოსწავლეები დგებიან 10 მეტრის დაშორებით ერთმანეთის პირისპირ და იწყებენ მოძრაობას შემხვედრი მიმართულებით.

ყველა ისევ თავის ფუნქციას ასრულებს.

ა) ვიცით რა თითოეულის სიჩქარე, დაადგინეთ, რა დროში შეხვდებიან ისინი ერთმანეთს და ეცადეთ, დაადგინოთ სიდიდეებს შორის დამოკიდებულება, გაამახვილეთ ყურადღება სიჩქარეებს შორის დამოკიდებულებაზე.

მასწავლებელი სთხოვს ჯგუფებს ეს მონაცემებიც ჩაწერონ ფურცლებზე და წარმოადგინონ საკუთარი დასკვნები. მათი შეჯამების პარალელურად, აკეთებს განმავითარებელ შეფასებებს, ჯგუფებში თანამშრომლობის შესახებ აღნიშნავს პოზიტიურ მომენტებს.

აქტივობა 3. (დრო – 10 წთ.)

მიზანი: სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობაზე დაკვირვება და დაშორების სიჩქარის სიდიდის განსაზღვრაზე მუშაობა.

ინსტრუქცია: ბავშვები მოძრაობას იწყებენ ერთი და იმავე ადგილიდან, ერთი და იმავე მიმართულებით.

ყველა ისევ თავის ფუნქციას ასრულებს.

ა) იცით რა თითოეულის სიჩქარე, დაადგინეთ, რა მანძილზე დაშორდებიან ისინი 2 წუთში და ეცადეთ, დაადგინოთ სიდიდეებს შორის დამოკიდებულება, გაამახვილეთ ყურადღება სიჩქარის როლზე.

მასწავლებელი სთხოვს ჯგუფებს, ეს მონაცემებიც ჩაწერონ ფურცლებზე და წარმოადგინონ საკუთარი დასკვნები. მათი შეჯამების პარალელურად, აკეთებს განმავითარებელ შეფასებებს დასკვნების გაკეთებისას წარმოქმნილი სიძნელეების გამომწვევი მიზეზების შესახებ, რომელთა ჩანიშვნაც მასწავლებელმა მუშაობის პროცესში მყოფ ჯგუფებთან მისვლისას მოახერხა.

აძლევს განმავითარებელ შეფასებას შემაჯამებელი სახით, რომ სიჩქარე განიხილონ, როგორც მანძილი, რომელსაც თანაბრად მოძრავი სხეული გადის დროის ერთეულში და დავალებად აძლევს:

ა) დაადგინონ საკუთარი მოძრაობის სიჩქარე;

ბ) ნაბიჯების რაოდენობის და დროის საშუალებით განსაზღვრონ სკოლიდან სახლამდე მანძილი;

გ) დავალების შესრულებისას ხელისშემშლელი მიზეზები ჩაიწერონ რვეულებში, მათი განხილვა მოხდება მომდევნო გაკვეთილზე.

აქტივობა 4.

მასწავლებელი: შეაფასეთ დღევანდელი თქვენი საქმიანობა. შეაჯამეთ თქვენი დასკვნები, გააკეთეთ ჩანაწერები.

შენიშვნის სახით – რასაც ვერ მოასწრებთ ერთ გაკვეთილზე, გადაიტანეთ მომდევნო გაკვეთილისათვის. მნიშვნელოვანია არა ის, თუ რამდენ დროს დაუთმობთ, არამედ ის, თუ რამდენად გააზრებულად შეძლებთ სწავლებას. შემოთავაზებული დროის რეგლამენტი სავარაუდოა და იგი უნდა ითვალისწინებდეს თქვენი მოსწავლეების შესაძლებლობებს.

რეკომენდაციები:

- დააკვირდით გაკვეთილის მსვლელობას, ორგანიზებას, გააკეთეთ ჩანაწერები;
- დააკვირდით უფროსკლასელი მოსწავლეების ქცევას და მოტივაციას, ჩაინიშნეთ;
- დააკვირდით კლასის მოსწავლეების მუშაობის სტილს, მათ შესაძლებლობებს, წარმოქმნილ სიძნელეებს;
- გაკვეთილის შემდეგ გააანალიზეთ პროცესი, რა განხორციელდა წარმატებით? რას შეცვლიდით? როგორ შეცვლიდით? დამხმარე უფროსკლასელებისათვისაც ხომ არ მოგვესმინა? მოსწავლეებისათვისაც ხომ არ გვეკითხა აზრი?

ნელი ნასყიდაშვილი
მათემატიკის მასწავლებელი

ვიგოტსკის თეორია და განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა დაწყებით კლასებში

ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა ,,ცისკარი“ მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრი, სკოლის პარტნიორ ორგანიზაცია – „ლიბო მნტ“-სთან ჩატარებული სემინარების მიხედვით, გთავაზობთ პედაგოგთა საინტერესო გამოცდილებებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის ხუთ ძირითად სიახლეთა შორის უპირველესი არის ის, რომ **„საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი (მნიშვნელოვანია არა იმდენად ის, თუ რის სწავლებას ცდილობს მასწავლებელი, არამედ ის, თუ რა ისწავლა მოსწავლემ).”**

ორიენტაცია თითოეულ მოსწავლესა და შედეგზე თვისობრივად ცვლის შეფასების სისტემას. შეფასების საშუალებით განისაზღვრება იმ სასწავლო **შედეგების** მიღწევის ხარისხი, რომლებიც საგნობრივი პროგრამის სტანდარტით არის გათვალისწინებული.

სკოლაში, ძირითადად, მისაღებია ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. როდესაც მასწავლებელი ნიშანს უწერს მოსწავლეს და მხოლოდ ამით შემოიფარგლება, ეს ნიშანი განსაზღვრავს მოსწავლის მიღწევის დონეს დასახულ მიზნებთან მიმართებით. მაშინ, როდესაც მასწავლებელი შეფასების ისეთ ფორმას იყენებს, რომელიც მოსწავლეს არა მხოლოდ საკუთარი მიღწევის დონის განსაზღვრაში ეხმარება, არამედ განვითარებაშიც – ეს განმავითარებელი შეფასებაა. განმავითარებელი შეფასების ტიპური **ფორმაა კომენტარები, რომელიც ტრიმესტრის განმავლობაში, ან ბოლოს, ან რომელიმე დავალების შესრულების შემდეგ იწერება და რომელიც აღწერს ნამუშევრის ძლიერ და სუსტ მხარეებს და, ამავდროულად, შეიცავს რეკომენდაციებს მიღწევების გაუმჯობესების თაობაზე.**

/ამონარიდი. ეროვნული სასწავლო გეგმა/

როგორც ვხედავთ, **კომენტარი** სტრუქტურულად სამი ნაწილისაგან შედგება:

1. ძლიერი მხარე;
2. სუსტი მხარე;
3. რეკომენდაცია მიღწევის გაუმჯობესების თაობაზე.

განმავითარებელი შეფასების/კომენტარის მესამე ნაწილის ფორმულირების დროს მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ **ვიგოტსკის** თეორია.

განმავითარებელი შეფასება მოსწავლის განვითარებაზე და სწავლებაზეა ორიენტირებული. შეფასების დროს გასათვალისწინებელია მოსწავლის **განვითარების უახლოესი ზონა.** ვიგოტსკის აზრით, განვითარების უახლოესი ზონა არის მანძილი ბავშვის **რეალური განვითარების** დონესა და **პოტენციური** განვითარების დონეს შორის.

რეალური განვითარების დონე გულისხმობს იმ ამოცანების ზედა ზღვარს, რომელთა შესრულება ბავშვს დამოუკიდებლად, სხვების გარეშე შეუძლია.

პოტენციური დონე კი გულისხმობს იმ ამოცანათა ზედა ზღვარს, რომელთა შესრულება ბავშვს შეუძლია უფრო კომპეტენტური ადამიანის დახმარებით.

დროთა განმავლობაში უახლოესი განვითარების ზონა იცვლება, იგი განსაზღვრავს ბავშვის კოგნიტური შესაძლებლობების ზედა ზღვარს.

პირველ რიგში, უნდა დავადგინოთ მოსწავლის **უახლოესი განვითარების** ზონა და ჩვენი მუშაობა წარვმართოთ ამ ზონის ზედა ზღვრის მისაღწევად. ამავდროულად, წავახალისოთ მოსწავლეები, რათა მათ ადვილად შეძლონ ეგოცენტრული მეტყველებიდან შინაგან მეტყველებაზე გადასვლა, როგორც ამას ვიგოტსკი მიიჩნევდა.

მსურს, გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება, თუ როგორ ვიყენებ პრაქტიკაში განმავითარებელ შეფასებას.

მეორე კლასის მოსწავლეს, რომელიც ხშირად აცდენს და აქვს პრობლემები წერით მეტყველებაში, ასეთ განმავითარებელ შეფასებას ვაძლევ:

დიტო!
- **შენ მშვენივრად კითხულობ და იგებ ტექსტს. შეგიძლია ზეპირად გამოხატო შენი დამოკიდებულება, უპასუხო კითხვებს.**
- **გიჭირს კითხვებზე წერილობით პასუხის გაცემა და წერილის მიწერა პერსონაჟისათვის.**
- **წაიკითხე, შენი ავადმყოფობის გამო გამოტოვებული ი. გოგებაშვილის მოთხრობა „კეთილი ამხანაგები“. მისწერე წერილი ნინოს და გაუმხილე, რას ფიქრობ მასზე.**

მეორე კლასის მოსწავლეს, რომელსაც აქვს პრობლემები წაკითხულის ზეპირად გადმოცემაში, ასეთ განმავითარებელ შეფასებას ვაძლევ:

ქეთი!
- **შენ გამართულად კითხულობ.**
- **წაკითხულის ზეპირად გადმოცემა გიჭირს.**
- **გთხოვ, გულდასმით წაიკითხე ი. გოგებაშვილის „ფუტკარი და მტრედი“, დაასურათე და ხვალ შენი ნახატების მიხედვით გვიამბე.**

მეორე კლასის მოსწავლეს, რომელიც არ აცდენს, არ იგვიანებს, მოწესრიგებულია და წარმატებული, ასეთ შეფასებას ვაძლევ:

შოთიკო!
- **შენ კითხულობ გამომეტყველებით, სათანადო ინტონაციით, იცავ წინადადებებს შორის პაუზებს, შეგიძლია წერილი მისწერო წარმოსახვით პერსონაჟებს, გადმოსცე ახლად წაკითხული ტექსტის შინაარსი.**
- **გირჩევ, წაიკითხო რევაზ ინანიშვილის მოთხრობების კრებული „სად ცხოვრობს მეზღაპრე“ და შემდეგ ვისაუბროთ, რა მოგეწონა და რამ დაგაინტერესა.**

ვიგოტსკის აზრით, ბავშვები, ძირითადად, ვითარდებიან მაშინ, როცა ისინი ცდილობენ რთული დავალებების შესრულებას, რომელიც მათი განვითარების **უახლესი ზონის** ფარგლებში ჯდება.

მეორე კლასის მოსწავლეთა ნაწილს პრობლემები ჰქონდა წერით მეტყველებაში, ნაწილს ზეპირ მეტყველებაში, რის გამოც კლასში, გარკვეული პერიოდი, ვთამაშობდით **ჟურნალისტობანას**. როლების განაწილებისას კონკრეტული პრობლემების მქონე მოსწავლეებს ვაძლევდი შესაბამის რეკომენდაციას ამა თუ იმ როლზე.

რატომ გადავწყვიტე ამ თამაშის ჩართვა სასწავლო პროცესში და რა კავშირშია ის განმავითარებელ შეფასებასთან?

ვიგოტსკის მიაჩნდა, რომ სოციალური კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში. მისი აზრით, ბავშვები სწავლობენ ქმედებაში, ანუ როცა ისინი უფრო მცოდნე ადამიანებთან ერთად აქტიურად არიან ჩართულნი რაიმე მნიშვნელოვან საქმიანობაში.

ბავშვს სწავლაში არა მარტო უფროსები, არამედ მათი თანატოლებიც ეხმარებიან. სწორედ ამის მაგალითია ჩვენ მიერ შემოღებული თამაში – **ჟურნალისტობანა.** ამ თამაშში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, გვყავს რედაქტორი, ტელეჟურნალისტი, საგაზეთო ჟურნალისტი და სტუდიაში მოწვეული სტუმრები. ტელეჟურნალისტად ვარჩევ ისეთ მოსწავლეს, რომელსაც ზეპირი მეტყველება უჭირს, ხოლო საგაზეთო ჟურნალისტად კი ისეთს, რომელსაც კალამი არ „ემორჩილება“.

მოსწავლეები დიდი სიამოვნებით ირგებენ როლებს, ეპატიჟებიან სტუდიაში სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, ცნობილ პიროვნებებს და ძალიან საინტერესო კითხვებზე საკმაოდ ორიგინალურ პასუხებს იღებენ.

ამ თამაშის წყალობით ნელ-ნელა დაიხვეწა ზეპირი მეტყველება და წერის კულტურა. რაც მთავარია, მოსწავლეები ხალისით ასრულებდნენ დავალებას და ერთმანეთს ეხმარებოდნენ პრობლემის მოგვარებაში.

ასე რომ, თავად განმავითარებელი შეფასება მოსწავლის განვითარებაზე და სწავლებაზეა ორიენტირებული.

შეფასების დროს გასათვალისწინებელია მოსწავლის განვითარების უახლოესი ზონა, ვიგოტსკის აზრით, განვითარების უახლოესი ზონა არის მანძილი ბავშვის რეალური განვითარების დონესა და პოტენციური განვითარების დონეს შორის.

შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი მიზანი მოსწავლისათვის, მასწავლებლისათვის და მშობლისათვის სხვადასხვაა. მინდა, განსაკუთრებით გავუსვა ხაზი შეფასების მნიშვნელობას მასწავლებლისათვის:

შეფასების მიზანი მასწავლებლისათვის
- მიიღოს ზუსტი ინფორმაცია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების შესახებ, რაც თავისთავად აძლევს საშუალებას, სწავლება მიღებული ინფორმაციის შესაბამისად წარმართოს;
- მიიღოს ინფორმაცია ცალკეული მოსწავლის თუ მოსწავლეთა ჯგუფის სასწავლო საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესახებ;
- დაადგინოს მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი;
- შეძლოს მოსწავლეთა სამომავლო მოსწრების პროგნოზირება;
- მიიღოს ინფორმაცია სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის შესახებ;
- დაადგინოს მოსწავლეთა არსებული დონე;
- გამოავლინოს აუთვისებელი მასალა, მიუღწეველი შედეგები და განსაზღვროს, როგორ დაგეგმოს შემდგომი პროცესი;
- დაეხმაროს სწავლებისა და სწავლისათვის საჭირო აქტივობების შერჩევასა და დაგეგმვაში;
- დაეხმაროს სასწავლო რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებაში;
- დაეხმაროს საკუთარი საქმიანობის რეფლექსიასა და ეფექტიანობის შეფასებაში;
- დაეხმაროს საკუთარი პროფესიული საჭიროებების დადგენასა და შემდგომ პროფესიულ დაოსტატებაში.

ვფიქრობ, უკვე ნათელია, რა კავშირშია ეს ყველაფერი ჩემ მიერ პრაქტიკულად გამოყენებულ ჟურნალისტობანას თამაშსა და განმავითარებელ შეფასებას შორის.

აქვე მინდა, გაგიზიაროთ ტრიმესტრული კომენტარის ფორმა, რომელსაც წარმატებით ვიყენებთ სკოლაში.

ტრიმესტრული კომენტარი

მოსწავლის სახელი და გვარი _____

კლასი _____

	ქართული
რა იცის კარგად? /ძლიერი მხარე/	
რა არ იცის კარგად? /სუსტი მხარე/	
რეკომენდაცია – რა გააკეთოს, რომ გახდეს წარმატებული?	

პედაგოგის ხელმოწერა _____

მშობლის ხელმოწერა _____

აქვე აღვნიშნავ, რომ ეს ფორმა განსაკუთრებით ეფექტურია მშობლებთან თანამშრომლობისათვის. მშობლები ითვალისწინებენ რეალურ რეკომენდაციებს, რომელიც ვიგოტსკის თეორიის მიხედვით სწორადაა შედგენილი.

ქეთევან გიორგობიანი
სკოლა „ცისკრის” დაწყებითი კლასების პედაგოგი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო ცენტრი

ინფორმაცია

კარაკომიდან საქართველოს გარშემო

2009 წლის 25 მაისს წალკის მუნიციპალიტეტის კარაკომის საჯარო სკოლაში (სკოლის დირექტორი – **თამაზ ხოზრევანიძე**) საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი პროექტი განხორციელდა, რომლის ხელმძღვანელი იყო გეოგრაფიის მასწავლებელი **ნინელი ვიბლიანი**.

პროექტის „ვიმოგზაუროთ საქართველოში“ მიზანი იყო ძირფესვიანად გაცნობოდნენ ბავშვები საქართველოს რეგიონებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან მდებარეობით, ისტორიული წარსულით, საქმიანობით და ცხოვრების წესით.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ბარეთის საშუალო სკოლის IX-X-XI კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელები.

კარაკომის საჯარო სკოლაში სულ 72 მოსწავლე სწავლობს, აქედან 33 პროექტში მონაწილეობდა. ღონისძიება გეოგრაფიის კაბინეტში ჩატარდა და სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა. ყველა მონაწილეს სამკერდე ნიშანი ეკეთა, რომელზეც გამოსახული იყო საქართველოს რუკა და გამოკვეთილი იყო ის რეგიონი, რომელსაც განასახიერებდნენ. თითო რეგიონი სამმა ბავშვმა წარმოადგინა. დაიწყეს აღმოსავლეთ საქართველოდან. გაისმა „მრავალჟამიერი“, IX-კლასელი **ნანული ბერიძე** გვაცნობს კახეთის მდებარეობას, საზღვრებს, მდინარეებს და ღირსშესანიშნაობებს. VI-კლასელი **გია ვანაძე** ისტორიულ წარსულზე გვიყვება, II-კლასელმა **თამუნა ხოზრევანიძემ** ლექსი წაგვიკითხა კახეთზე, ხოლო გია ვანაძემ ანეკდოტი გვიამბო კახელებზე.

გადავინაცვლეთ დასავლეთ საქართველოში, დარბაზში განწყობა შეიცვალა, მოსწავლეები აფხაზეთის მტკივნეულ თემას შეეხნენ, თუმცა პროექტის მიხედვით საქართველო მთლიანი, ძლიერი ქვეყანაა.

IX-კლასელი **ნონა გულედანი** რუკაზე გვიჩვენებს რეგიონის მდებარეობას, საზღვრებს, ღირსშესანიშნაობებს, ხოლო IX-კლასელი **ესმა ბერიძე** მხარის ისტორიას წარმოადგენს; ლექსი წაიკითხა II-კლასელმა **მინდია ბერიძემ** და ასე გაგრძელდა სხვა რეგიონების დახასიათება, რომელიც, ასევე საინტერესოდ წარმოადგინეს: **თამუნა, ირაკლი** და **თაიგული ხოზრევანიძეებმა, თემურ არღვლიანმა, ნატო ხიმიკაძემ, ორღან მუსაევმა** და სხვებმა.

პედაგოგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მოსწავლეებმა თავიანთი ქვეყნის ისტორიული წარსულისა თუ აწმყოს ცოდნის დემონსტრირება და დამსწრეთათვის შთამბეჭდავად მიწოდება მოახერხეს.

სკოლის დირექტორმა, თამაზ ხოზრევანიძემ, ქართული ენისა და ლიტერატურის უხუცესმა პედაგოგმა, **ლამარა იობაშვილმა**, უცხო ენის პედაგოგმა **ელისო გიგანმა** მაღალი შეფასება მისცეს ქალბატონ ნინელი ვიბლიანის პედაგოგიურ საქმიანობას და აღნიშნეს, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, პროექტი „ვიმოგზაუროთ საქართველოში“ წარმატებული აღმოჩნდა, რაც პედაგოგისა და მისი მოსწავლეების ერთობლივი შრომის შედეგია.

ბარეთის სკოლიდან მოწვეულმა პედაგოგებმა: **ბელა შუკვანმა** და **თეა ნავერიანმა** კოლეგის მიერ განხორციელებული პროექტი არა მარტო წარმატებულ, არამედ მისაბაძ პროექტადაც შეაფასეს.

ნინო საყვარელიძე

„მე ვხედავ მზეს, ბედნიერი ვარ, რომ ვცოცხლობ“

28 მაისი 47-ე ბაგა-ბაღის (დირექტორი – **ლალი ჭოლაძე**) პატარა აღსაზრდელების ცხოვრებაში ხალისიანი და ძალიან მნიშვნელოვანი დღე იყო. ჩემი აზრით, ეკოლოგიური განათლება უნდა იწყებოდეს საბავშვო ბაღიდან, რადგან პატარების გონება სწორედ ამ დროს არის მზად ინფორმაციის მისაღებად. გასულ წელს აღსაზრდელებმა თითქმის ზეპირად ისწავლეს „წითელ წიგნში“ შესული იშვიათი ცხოველების, ფრინველების და მცენარეების ეკოლოგია.

აღსაზრდელებმა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული თვალსაჩინოების მიხედვით, საქართველოში გავრცელებული მგალობელი და გადამფრენი ფრინველებიდან თითქმის ყველა შეისწავლეს, თეორიულად მიღებული ცოდნა კი პრაქტიკულად გამოამჟღავნეს 28 მაისს, ბაგა-ბაღის ტერიტორიაზე, მასწავლებლების: **მალვინა გაჩეჩილაძის, ია ხუტილაშვილის, ნანა ასანიძის, მაია ჭიაბერაშვილის, თამარ სონღულაშვილის** დახმარებით. აღსაზრდელები: **ლევან მინდორაშვილი, თიკა გოგეშვილი, ნინიკო ნაცვლიშვილი, მერი რამიშვილი, ზურა** და **თათული გორდიაშვილები, გიორგი გუგუნაშვილი, საბა ფაჩულია, მარი** და **ანი უგრეხელიძეები, ნინო შერმადინი, ლიკა კოკაია, სალომე ოღაძე, ლიკა აბრამიშვილი, ნაზი ხუდოიანი, ნიკა გოგოლაძე, გიორგი ამირიანი, ზურაბ აივაზაშვილი, დავით ალუდაური, დავით** და **ვანო მელქონიანები** ჯგუფებად გაანაწილეს და დავალებად მისცეს დაკვირვება ფრინველებზე. პატარებმა შეძლებისდაგვარად ამოიცნეს უკვე ნასწავლი ფრინველები, უმეტესწილად მერცხალი, სახლის ბეღურა, ქალაქის მტრედი, კაჭკაჭი. ეს ის ფრინველებია, რომლებიც გავრცელებულია 47-ე ბაგა-ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ჯგუფში დაბრუნებისას ბავშვებს დაურიგდათ სახატავი რვეულები, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები და დახატეს მათთვის სასურველი ფრინველები. პატარებმა ძალიან კარგად აუღეს ალღო დავალებას, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. შესრულებული ნახატებით კი მოაწყვეს გამოფენა.

47-ე ბაგა-ბაღი გამოირჩევა აქტუალური ხასიათის ღონისძიებებით, განსაკუთრებით შეიმჩნევა ეკოლოგიური განათლების ხარისხის გაუმჯობესება, აღინიშნა დედამიწის დღე, ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღე, ფრინველთა დაცვის დღე, შიდსთან ბრძოლის დღე და სხვ. ღონისძიებების წარმატებით ჩატარებაში არ შეიძლება არ აღვნიშნოთ დირექტორის, **ლალი ჭოლაძის** და მისი მოადგილის, **თინიკო სუპატაშვილის** დიდი წვლილი, ისინი არ იშურებენ ძალისხმევას მომავალი თაობის სწორი ეკოლოგიური აღზრდის საქმეში.

პატარები ბედნიერები არიან, რომ ტკბებიან გარემოს სილამაზით და პირობას იძლევიან, რომ დაიცავენ დედაბუნებას, სამაგიეროდ ბუნება დაიცავს მათ.

ლალი ედიბერიძე
პედაგოგი

„ბაღის ფრინველთა საათი“

2009 წლის 21 მაისს, საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის (უფროსი – **იოსებ ქარცივაძე**), გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის (GTZ) და საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრის ხელშეწყობით, საქართველოს მასშტაბით, ჩატარდა „ბაღის ფრინველთა საათი“, მოსწავლეებში გარემოს დაცვითი საკითხების მიმართ ცნობიერების ამაღლების და მეცნიერული მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით.

აღნიშნულ ღონისძიებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თბილისის 144-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – **მანანა კიკაჩეიშვილი**) I-V-VI-VII-VIII კლასების მოსწავლეებმა. აქცია ჩატარდა თბილისის ბოტანიკურ ბაღში და გაშუქდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ.

144-ე საჯარო სკოლა გამორჩეულია საგანმანათლებლო ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობით, ბიოლოგიის მასწავლებლის – **ლალი ედიბერიძის** მონაწილეობით, ორგანიზატორობით და მისივე ინიციატივით, მოსწავლეები ხალისით ერთვებიან სასკოლო თუ სკოლისგარეშე კონკურსებში და სხვადასხვა სახის აქციებში. იმაღლებენ და იუმჯობესებენ ეკოლოგიური განათლების ხარისხს.

ამჯერადაც, მოსწავლეებს „ბაღის ფრინველთა საათმა“ გაუღრმავა სკოლაში მიღებული ცოდნა და დააახლოვა გარემოსთან, გაუზარდა ინტერესი ფრინველთა სამყაროს მიმართ. ჩატარებულმა კვლევამ მათ შეუქმნა ზოგადი წარმოდგენა ბაღის ფრინველთა პოპულაციების მდგომარეობის შესახებ. მასწავლებელმა, ლალი ედიბერიძემ, გარემოს დაცვის სამინისტროში ტრენინგის გავლის შემდეგ, რეკომენდაციები მისცა მოსწავლებს, აუხსნა მათ სამუშაო წესები, დაურიგა სასწავლო მასალა: თვალსაჩინოება საქართველოში ფართოდ გავრცელებული ბაღის ფრინველთა შესახებ და ბუკლეტები ფრინველების დეტალური აღწერილობით, ფრინველთა აღსარიცხი ფურცლებით, მოასმენინა ფრინველთა ხმების აუდიოჩანაწერი.

ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ღონისძიების ორგანიზატორებმა, 144-ე სკოლის დირექტორის მოადგილემ აღმზრდელობით დარგში **შორენა ზარდიაშვილმა** და სკოლის პედაგოგებმა – **ლალი ედიბერიძემ** და **ნინო დვალმა** გაანაწილეს წყვილებში **ნინო** და **ლიკა მაისურაძეები, ანა გოგებაშვილი – ქეთი საყევერაშვილი, ნატო მანჯავიძე – გიორგი წვიმიტიძე, მარიამ გოგია – ქეთი გალდავა, ანი მელქაძე – მიშიკო ქარცივაძე, ნოდარ შოშიაშვილი – ანი ფანჩვიძე, თამთა კარგარეთელი – მაგდა ნატროშვილი, ნათია ჩიფჩიური – ელენე ჩოქური, ნანუკა ოსეფაშვილი – ნინო კაბულაშვილი, მარიამ ღლონტი – მარიამ ნიკოლაშვილი**.

დაკვირვება და ფრინველთა დათვლა 1 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, 9.15-დან 10.15-მდე, რადგან ფრინველები ამ დროს უფრო აქტიურები არიან. მოსწავლეები ფრთხილად მუშაობდნენ, დაკვირვების დროს უცნობი ფრინველის შეხვედრისას, მასწავლებელთან და ორგანიზატორებთან ერთად, ცდილობდნენ მათ დადგენას. საბოლოოდ, შეგროვილი მონაცემები, შესაბამისად შეკრეს და გადასცეს ორგანიზატორებს.

აღსანიშნავია, რომ ტრენინგის ჩატარებამდე მათ 30 ფრინველიდან მხოლოდ 3-4 დაასახელეს, შემდეგ კი, თითქმის, ყველა ფრინველი ზეპირად იცოდნენ. ადვილად გამოიცნეს შესწავლილი ფრინველები და, კვლევის შედეგად, დაადგინეს ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე მობინადრე: შავი შაშვი, ბულბული, ჩხიკვი, წივწივა, მწვანულა, მოლაღური, სხვადასხვა რაოდენობით. შედეგები შეფასდება საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის მიერ, საბოლოო შედეგები კი გამოქვეყნდება ამავე ორგანიზაციის ვებგვერდზე.

მასწავლებლებს, მშობლებს და მოსწავლეებს ეს დღე დიდხანს ემახსოვრებათ, როგორც ბიომრავალფეროვნების აღსანიშნავი დღე, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის გარემოს დაცვის სამინისტროს, ბიომრავალფეროვნების სამსახურის უფროსს, **იოსებ ქარცივაძეს** და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელს, **ნინო ქიტუაშვილს**.

მარინა ბენიძე

გამომცემლობა „დიოგენე“ წარმოგიდგენთ ახალ სახელმძღვანელოებს 2009/2010 სასწავლო წელი

დედაენა I
ნ. კუპრავა,
დ. ნაზირიშვილი
მ. ფოფხაძე,
მ. ხაზიური
მოსწავლის წიგნი
მასწავლებლის წიგნი
მოსწავლის რვეული
CD



ბუნება I
ლ. თევზაძე,
ხ. ნამიჭეიშვილი
მოსწავლის წიგნი
მასწავლებლის წიგნი

ხელოვნება I
ნ. კუნჭულია,
მ. მეხაშიშვილი
ნ. ციციშვილი
მასწავლებლის წიგნი
მოსწავლის ალბომი

მუსიკა I
ქ. ცაგარელი
მასწავლებლის წიგნი
CD

მათემატიკა IV
ნ. გვილავა,
ე. ჩილოჩავა
ს. ჩხეიძე
მოსწავლის წიგნი
მასწავლებლის წიგნი
მოსწავლის რვეული



ბუნება IV
ხ. ადიკაშვილი,
ლ. თევზაძე
ქ. მაღრაძე
მოსწავლის წიგნი
მასწავლებლის წიგნი



ინგლისური დ2
ი. ბარათაშვილი
ე. გოგილაშვილი
მოსწავლის წიგნი
მასწავლებლის წიგნი
მოსწავლის რვეული
CD

ფიზკულტურა 4
ლ. აფციაური
მ. ტულუში
მასწავლებლის წიგნი

ქართული ენა და ლიტერატურა VII
ლ. თუშური,
ნ. შარაშენიძე
მოსწავლის წიგნი
მასწავლებლის წიგნი



ისტორია VII
ნ. ახმეტელი
ე. ჩუბინიშვილი
მოსწავლის წიგნი
მასწავლებლის წიგნი

გეოგრაფია VII
ე. ნებიერიძე
მოსწავლის წიგნი
მასწავლებლის წიგნი

რუსული ს1
მ. რევია
მოსწავლის წიგნი
მასწავლებლის წიგნი
მოსწავლის რვეული



ქართული ენა და ლიტერატურა X
განახლებული გამოცემა
თ. ვასაძე
ნ. შარაშენიძე
მოსწავლის წიგნი
მასწავლებლის წიგნი

ისტორია X
განახლებული გამოცემა
ნ. ახმეტელი,
ბ. ლორთქიფანიძე
პ. რამიშვილი
მოსწავლის წიგნი
მასწავლებლის წიგნი



ფიზიკა X
ქ. ტატიშვილი
მოსწავლის წიგნი
მასწავლებლის წიგნი



ქიმია X
ლ. თევზაძე
ნ. ჯავახიშვილი
მოსწავლის წიგნი
მასწავლებლის წიგნი



ბიოლოგია X
ლ. ბურდილაძე
მ. ბაგალიშვილი
ქ. მაღრაძე
მოსწავლის წიგნი
მასწავლებლის წიგნი

ხელოვნება X
ნ. კუნჭულია
მ. მეხაშიშვილი
მოსწავლის წიგნი
მასწავლებლის წიგნი

პატარების ზეიმი დიდების მონაწილეობით

ხუთშაბათს თბილისის 142-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – **სოსო ლაგვილავა**) „მხიარული სტარტების“ შიდასასკოლო გათამაშება დამთავრდა, რაც იქაურებისთვის, მართლაც რომ, გამორჩეულ და ლამაზ დღედ იქცა. თუმცა, არა მარტო იქაურებისთვის, რადგან იმ დღეს ღონისძიებაზე დასასწრებად სკოლას ბევრი სტუმარი ეწვია – რაიონისა და ადგილობრივი რესურსცენტრის ხელმძღვანელობა, წარმომადგენლები მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროდან, „მხიარული სტარტების“ ეროვნული ფედერაცია და ბავშვებისთვის ასე საყვარელი ბალი-ბიჭუნა, რომელიც აშკარად ყურადღების ქვეშ იყო.

ეს გათამაშება სკოლაში ერთი თვეა მიმდინარეობს და მასში მეორე-მეექვსე კლასების 14 გუნდი მონაწილეობდა. ამ პერიოდში სხვადასხვა კლასებს შორის გამარჯვებულებიც თანდათან ვლინდებოდნენ, ხუთშაბათს კი მეხუთეკლასელთა დღე იყო – ერთმანეთს V^ა კლასის „ჩემპიონი“ და V^ბ კლასის „არწივი“ ეჯიბრებოდნენ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, ამ სახალისო ტურნირმა მოსწავლეებში რაოდენ დიდი ინტერესი გამოიწვია და თამამად შეიძლება ითქვას, ბავშვებისთვის ეს ერთთვიან ზეიმად იქცა. თუმცა ტურნირმა მშობლებშიც არანაკლები ინტერესი გამოიწვია და ხუთშაბათს დარბაზში ისინიც ბლომად შეგროვდნენ. მათ შორის – მამებიც და უფროსები ლამის შვილებზე მეტად გამოხატავდნენ ემოციებს. შედეგად, „მოგკლავ იცოდე, სახლში არ მოგიშვებ“, „არ წაგო, თორემ ვერ გადამირჩები“ ტიპის შეძახილებიც მრავლად ისმოდა. თუმცა შვილებს მათი შეგულიანება იქნებ არც სჭირდებოდათ, რადგან მოგება მთელი არსებით უნდოდათ და აკი, ტურნირის დამამთავრებელ აკორდად წაგებულთა ცრემლებიც იქცა.

საერთოდ, დირექციამ სკოლისა და საზოგადოების მონოლითურობისთვის ტურნირში მშობლების ჩართვაზე იმთავითვე იზრუნა და საორგანიზაციო საკითხებში მონაწილეობის გარდა, მშობელთათვის ნომინაციებიც დააწესა, რაშიც ისინი უყოყმანოდ მონაწილეობდნენ. შეჯიბრებამ ამ კუთხითაც გაამართლა.

მეხუთეკლასელთა ტურნირი ძალზე დაძაბულად და ემოციურად წარმართა. პირველი ნომინაციის შემდეგ „ჩემპიონი“ დაწინაურდა, მაგრამ „არწივი“ რისი არწივია, მწვერვალი ასე იოლად დაეთმო. შეჯიბრებამ ეკვატორი დაახლოებით თანაბარ ბრძოლაში გადალახა, ვიდრე კლასის ხელმძღვანელთა შეჯიბრების დრო არ დადგა. მათ კეგლების წაქცევა ევალებოდათ და ნებისმიერ საქმეში ხელმძღვანელზე რაოდენ ბევრია დამოკიდებული, აქ გამოჩნდა – „არწივის“ დამრიგებელმა, **ეკა ტაბატაძემ** სამი ცდიდან ექვსი კეგლი წააქცია და თავისი გუნდი დააწინაურა. ამის შემდეგ მის მოსწავლეებს უპირატესობა ხელიდან არ გაუშვიათ, თუმცა ბოლო ნომინაციაში – „ესტაფეტა ამანათრბენით“ კინაღამ „მონასტერი აირია“. ეს შეჯიბრება „არწივმა“ მოიგო და პატარებმა ემოციურადაც იზეიმეს გამარჯვება, მაგრამ მონაწილეთა თანაფარდობის პრინციპი დაარღვიეს – ერთით მეტმა ვაჟმა იასპარეზა და ჟიურიმ შედეგი გააუქმა. ამან პატარების მძაფრი პროტესტი კი გამოიწვია, მაგრამ ხელახლა დანიშნული ამანათრბენიც მოიგეს. გარკვეულწილად, ამაში მეტოქეც დაეხმარათ, რომლებმაც განმეორებით ცდაშიც იგივე შეცდომა დაუშვეს - ჯოხი ხელიდან გაუვარდათ. საბოლოოდ „არწივმა“ მეტოქეს 104:94 სძლია.

სტარტებში მონაწილე უკლებლივ ყველა გუნდი დიპლომებით და სიგელებით დაჯილდოვდა და გამოავლინეს სხვადასხვა ნომინაციების ლაურეატები. ერთბაშად სამი ჯილდო მიიღო ჩვენმა ძველმა ნაცნობმა გახსნის ცერემონიალიდან, II^ბ კლასის გუნდმა „ლომები“ (მათი წარმატების შესახებ წერდა „ახალი განათლება“) – ის დაასახელეს საუკეთესო გუნდად, ხოლო მათი მისალმება და ემბლემა ჟიურიმ საუკეთესოდ სცნო, თუმცა ემბლემისთვის ჯილდო V^ა კლასის გუნდ „იმედთან“ გაინაწილეს. ყველაზე ენერგიულ კლასის დამრიგებლად **ქეთევან ჩიტაშვილი** დაასახელეს, ტურნირის აღმოჩენად კი IV^დ კლასის გუნდი აღიარეს. პრიზით „სპორტული გმირობისთვის“ დააჯილდოვეს **მარიამ დვალიშვილი**, რომელმაც „მხიარული სტარტების“ რესპუბლიკურ გათამაშებაში ხელი იტკინა, მაგრამ ტრავმირებულმაც გააგრძელა, თურმე, გამოსვლა.

ღონისძიების ბოლო აკორდად სკოლის მოსწავლეთა მიერ გამართული კონცერტი იქცა, რომელიც მაღალ დონეზეც შეასრულეს და მოწვეულ მაღალჩინოსან სტუმრებს ორიგინალური სიურპრიზიც დაახვედრეს – „მის სტარტებად“ დასახელებულმა თბილისის ჩემპიონმა ფიგურულ ციგურაობაში და სამეჯლისო ცეკვებში **ელენე კობახიძემ** სკოლის გასაჭირზე, კერძოდ კი – სტადიონის უქონლობაზე თეატრალიზებულად უსაყვედურა სტუმრებს. *„იქ, ზევით – ავლაბარში არც ნაცნობები გვყავს და არც – მეგობრები. ამიტომ დავრჩით ხელოვნურსაფარიანი მოედნის გარეშე. ვიმედოვნებთ, ან მთავრობა გადმოგვხედავს, ან – ღმერთი“* – ეს ლექსად წარმოთქმული საკმაოდ დიდი მონოლოგის მთავარი აზრი იყო. მან გამოსვლა ასეთი რეპლიკით დაამთავრა – იმედია, მოედანს მაინც გაგვიკეთებენო, რაც აშკარად მაღალჩინოსანთა მისამართით ნასროლი ანკესი იყო.

ამ სკოლას სტადიონი რომ არა აქვს, ჩვენც ვწერდით. სიტყვას იმაზე აღარ გავაგრძელებთ, რაოდენ მნიშვნელოვანია სტადიონი სკოლისთვის, თუმცა, ეტყობა, კობახიძის მონოლოგმა მიზანს მიაღწია და ეს პრობლემაც მოგვარდება – შეჯიბრების დამთავრების შემდეგ კერძო საუბრებში სტუმრებმა სკოლას სტადიონის გაკეთება აღუთქვეს.

გონივრული მენეჯმენტით ევროპული სტანდარტებისკენ

29 მაისს დიდი სტუმრიანობა ჰქონდა თბილისის 182-ე საშუალო სკოლას – ისან-სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი **რუსუდან კერვალიშვილი**, ამავე რაიონის რესურსცენტრის უფროსი **ირინა გოგონაია**, წარმომადგენლები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, ამავე თუ მეზობელი რაიონის სკოლების დირექტორები, მოწვეული სტუმრები... მიზეზი საცურაო აუზის გახსნა გახლდათ, რაც სკოლამ საკუთარი სახსრებით შეძლო, თუმცა სტუმრებმა სკოლის სხვა მიღწევებიც სიამოვნებით დაათვალიერეს.

საცურაო აუზი ოთხი თვის წინ გაიხსნა სკოლის მიერ მობილიზებული თანხებით. ამ სკოლას, ორი წლის წინ, სათავეში **არჩილ ჩხაიძე** ჩაუდგა და როგორც თვითონ განაცხადა, აუზის ამოქმედება იმთავითვე დაისახა მიზნად. თურმე ჯერ სამშენებლო ფირმებს დაუკავშირდა, მაგრამ მათ არც მეტი, არც ნაკლები, 20 000 ლარი მოითხოვეს, რაც სკოლისთვის წარმოუდგენელი ფუფუნება გახლდათ. მაგრამ დირექტორმა მიზანზე ხელი არ აიღო და აუზის რემონტს საკუთარი ძალებით შეუდგა. ძირითადად, პედაგოგიური კოლექტივის, ნაწილობრივ კი დაქირავებული ხელოსნების მონაწილეობით საქმე თანდათან წინ წავიდა და ოთხი თვის წინ აუზმა პირველი ჯგუფიც მიიღო. აუზის შენახვა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და აქ ვარჯიში ფასიანია. სადღეისოდ აუზის მომსახურებით, ამ სკოლის მოსწავლეებთან ერთად, სხვა სკოლების, თანამშრომლების თუ ახლო-მახლო მცხოვრები რიგითი თბილისელების შვილებიც სარგებლობენ – 120-მდე ბავშვი. ადგილობრივსა თუ სხვა ბავშვებზე ნიხრებიც განსხვავებულია, თუმცა საბაზრო ფასებთან შედარებით, ყველა პარამეტრით ბევრად იაფია.

აუზის საზეიმოდ გახსნის შემდეგ სტუმრებმა ჯერ სკოლის კლუბში გადაინაცვლეს, სადაც მოსწავლებმა ადგილობრივი ძალებით მომზადებული საკმაოდ კარგი კონცერტი წარმოადგინეს, მერე კი ზოომუზეუმიც დაათვალიერეს. ამ სკოლას საამაყო ბევრი რამ აქვს, მაგრამ მუზეუმი – გამორჩეულია. ვეჭვობთ, არა მარტო სკოლებში, საქართველოში სხვაგანაც წააწყდეთ ნიანგის, მახრჩობელა გველისა თუ სხვა ეგზოტიკური ცხოველების ფიტულებს. თანაც, ეს ყველაფერი თბილისის ზოოპარკშია მოპოვებული – დიდი წყალდიდობისას ზოოპარკიდან გაქცეულმა რეპტილიათა ფიტულებმა, დიდი ხეტიალის შემდეგ, საბოლოოდ ამ მუზეუმში დაიდეს ბინა. აღნიშნულის გარდა, დაინტერესებულნი იქ ბევრ ძალზე საინტერესო ექსპონატსაც ნახავენ. სტუმრები მუზეუმით აღფრთოვანებულნი და გაოცებულნი დარჩნენ, თუმცა არა მხოლოდ მისით.

ამ სკოლამ, გონივრულად წარმართული მენეჯმენტით, ბიუჯეტში დამატებითი სახსრების მობილიზება მოახერხა და სახელმწიფოს დახმარებასთან ერთად, ბიუჯეტში თვითდაფინანსებასაც სოლიდური ადგილი უჭირავს. სწორედ ამით მოხერხდა აუზის გარემონტება, ახლა კი დირექტორი ღია სპორტული მოედნის კეთილმოწყობასაც გეგმავს. სტუმრებმა აღნიშნეს კიდეც, რომ ეს სკოლა მაგალითია იმის, როგორ უნდა მოიზიდოს სკოლამ სახსრები და დაიკმაყოფილოს თავი. რუსუდან კერვალიშვილს არც დაუმალავს, რომ ის გაოცებული დარჩა როგორც აუზის გახსნით, ასევე აქ ნანახი სურათით. *„ვინატრებდი, რომ ყველა სკოლამ ასეთი ევროპული სტანდარტებით თანდათან შეძლოს თავისი პირობების გაუმჯობესება“* – აღნიშნა მაჟორიტარმა დეპუტატმა.

გვერდი მოამზადა
ირაკლი თავაძემ

„ვერცხლის ქოლგა“ – წარმატებების კიდევ ერთი საწინდარი

პატარა, მაგრამ დიდი წარსულის მქონე რაიონმა ძალიან ლამაზი და ნიჭიერი გოგონა მიავლინა, საქართველოს სახელით, უკრაინის ქ. ვინიცაში, სადაც ყოველწლიურად ტარდება კონკურსი სახელწოდებით „ამღერებული ქოლგა“.

ეს გოგონა **თეა ჯანიაშვილია**. იგი ბავშვობიდან მღერის, დიდი ხანია რაიონში მის განსაკუთრებულ მუსიკალურ მონაცემებზე საუბრობენ. 2007 წელს თეა რაიონში ჩატარებული მუსიკალური ფესტივალის „შემოდგომის ჰანგები“ გამარჯვებული გახდა. სულ რამდენიმე თვეა, კომპოზიტორ **ნუნუ გაბუნიას** ხელმძღვანელობით მეცადინეობს, რაც თეასთვის დიდი წარმატების საწინდრად იქცა. კონკურსში „მუსიკალური ქოლგა“, მსოფლიოს მრავალი კუთხიდან 300-მდე კონკურსანტი მონაწილეობდა, საქართველოს ხარაგაულის №2 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე, **თეა ჯანიაშვილი** წარმოადგენდა. ჟიური აღაფრთოვანა თეას მიერ შესრულებულმა სიმღერებმა, მისმა ბუნებრივმა მონაცემებმა და საოცარმა სისადავემ. მან ორი სიმღერა შეასრულა – თემურ თათარაშვილის „თბილისო“ და ლარა ფაბიანის „ადაჯო“, სწორედ ეს უკანასკნელი გახდა მისთვის უდიდესი წარმატების მომტანი. თეა ჯანიაშვილმა, ამ პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსზე, მეორე ადგილი დაიკავა, ლაურეატის წოდება მიენიჭა და გადაეცა „ვერცხლის ქოლგა“, დიპლომი, ხოლო მისით მოხიბლულმა ქალაქის მერმა თეთრი ოქროს ყელსაბამით დააჯილდოვა.

თეას წარმატებებში, ოჯახთან ერთად, უდიდესი წვლილი მიუძღვის მის მშობლიურ სკოლას (დირექტორი **ვალერი გოგნაძე**), მთელ პედაგოგიურ კოლექტივს, რომელთაც შეძლეს თეას ბუნებრივი ნიჭის განვითარებისთვის შეეწყოთ ხელი. უდიდეს მადლიერებას იმსახურებს რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე **გიგა გლუნჩაძე**, რომლის დახმარებითაც თეა ნუნუ გაბუნიას მოსწავლე გახდა. ქალბატონი ნუნუ დიდ იმედებს ამყარებს მოსწავლეზე და სჯერა მისი წარმატებული მომავლის.

ხარაგაულის საზოგადოებამ და თეას მშობლიურმა სკოლამ ღირსეულად აღნიშნეს გოგონას წარმატებები, შეხვედრები მოუწყვეს ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და მშობლიურ სკოლაში.

ვულოცავთ თეას კონკურსში გამარჯვებას და გვჯერა, კვლავაც არაერთხელ გვასახელებს თავისი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის წყალობით.

იზა ვეფხვაძე

ხარაგაულის №2 საჯარო სკოლის ხელოვნების პედაგოგი

ჩემპიონი სიმძიმეების აწევაში

ამ დღეებში დამთავრდა თბილისის უმაღლეს სასწავლებლებს შორის გამართული უნივერსიადა, რომელმაც სხვადასხვა სახეობაში არაერთი წარმატებული სპორტსმენი გამოავლინა.

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ძალიან გაგვახარა ჩვენი სასწავლებლის კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალობის II კურსის სტუდენტმა, **თეიმურაზ ლუტიძემ**, რომელმაც ძალისმიერ სამჭიდში, 100 კგ. წონით კატეგორიაში, I ადგილი მოიპოვა.

ამ წარმატებისათვის მას საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის სპეციალური დიპლომი გადაეცა.

ნუგზარ შეყილაძე

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი გამარჯვებას ულოცავს თეიმურაზ ლუტიძეს

ჯანსაღი ცხოვრება – ჯანსაღი მომავალი

ჭრებალოს საჯარო სკოლის (დირექტორი – **ლელა დათიაშვილი**) რეაბილიტაციის შემდეგ, შესაძლებელი გახდა მოსწავლეთათვის ოცნებად ქცეული სპორტული დარბაზის განახლება, სათანადოდ მოწყობა და ჭიდაობის წრის ჩამოყალიბება, რომელსაც სათავეში ამავე რაიონის მკვიდრი, თავის დროზე საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობაში **თამაზ მურუსიძე** ჩაუდგა. როგორც ბატონმა თამაზმა გვითხრა, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საამაყო თითოეული მოსწავლის წარმატებაა. იგი დღესაც ამაყობს მისი ყოფილი მოსწავლეების: აზიის თამაშების მეორე პრიზიორის, **გიორგი გაბისიანის** და ევროპის მეორე პრიზიორის, **კობა კერესელიძის** წარმატებებით.

თამაზ მურუსიძე, ჭრებალოს საჯარო სკოლის ჭიდაობის წრის ხელმძღვანელი: *„ჩემი მიზანია, მოსწავლე სპორტულად და ზნეობრივად ჩამოვაყალიბოთ. რა თქმა უნდა, ბიჭებმა შედეგებზეც უნდა იფიქრონ, ასევე მნიშვნელოვანია, ბავშვებს მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდეთ. ამჟამად 38 მოსწავლე მყავს, ისინი საკმაოდ სერიოზულად მუშაობენ. ზოგიერთს განსაკუთრებული ნიჭი აქვს და აქტიური ვარჯიშის შედეგად შეუძლია წარმატებული გახდეს.*

წვრთნები სისტემატურად მიმდინარეობს. მონაწილეობა მივიღეთ რამდენიმე ამხანაგურ ტურნირში, რომელიც ონის რაიონში ჩატარდა. მოსწავლეებმა საკმაოდ წარმატებულად იასპარეზეს, რამაც კიდევ უფრო დიდი სტიმული მოგვცა. მომავალში ვგეგმავთ ტურნირს ქალაქ ქუთაისში.

მსგავს ტურნირებში მოსწავლეთა ასპარეზობის მიზანი არა მარტო გამარჯვების მოპოვებაა, არამედ მოსწავლეთა დამეგობრება და სტიმულირება, მათი შრომისუნარიანობის ამაღლება.

ჩემი ყველაზე დიდი ჯილდო იქნება ის, რომ ჩემი მოსწავლეები აღიზარდონ და მიაღწიონ დასახულ მიზნებს ჭიდაობაში. მადლობა მინდა გადავუხადო ჭრებალოს საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ლელა დათიაშვილს, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სკოლაში აქტიური ჯანსაღი ცხოვრების წესი დაამკვიდროს.“

ონის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლაში უკვე რამდენჯერმე ჩატარდა სამხარეო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ჭრებალოს საჯარო სკოლის ჭიდაობის წრის აღსაზრდელები.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ ასეთ ტურნირში, რომელიც მოჭიდავის – **მიხეილ მაისურაძის** დაბადების დღეს მიეძღვნა, ჭრებალოელმა მოსწავლეებმა, საუკეთესო შედეგები აჩვენეს. პირველი ადგილის მფლობელები: **გიორგი ცხვირავაშვილი** (26 კგ.), **ავთო კენჭაძე** (42 კგ.), **ნიკა ჭილვარია** (53 კგ.) გახდნენ; მეორე ადგილი წილად ხვდათ: **ლუკა ლომთაძეს** (26 კგ.), **ვახტანგ თვარაძეს** (29 კგ.), **ილია ფოფხაძეს** (85 კგ.), **თორნიკე ცხვირავაშვილს** (35 კგ.), **დათო ლომთაძეს** (59 კგ.), **რეზო თვარაძეს** (38 კგ.), **იმედა ხვედელიანს** (53 კგ.); მესამე ადგილი მოიპოვეს: **სანდრო სარდანაშვილმა** (23 კგ.), **ბექა ღოღელიანმა** (26 კგ.), **გიორგი დავითულიანმა** (38 კგ.) და **რეზო ჩიკვაიძემ** (32 კგ.).

ონის მუნიციპალიტეტმა გამარჯვებული მოსწავლეები სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

ავთო კენჭაძე, ჭრებალოს საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე: *„ძალიან მიხარია, ჭიდაობაზე რომ დავდივარ. ამხანაგურ შეჯიბრებებში ვმონაწილეობთ. პირველ შეჯიბრში მესამე ადგილის მფლობელი გავხდი. ბოლო ტურნირმა კი წარმატება მომიტანა და პირველი ადგილი მოვიპოვე. აქტიური ვარჯიშით, ნელ-ნელა, წინ მივიწევთ და უკეთეს შედეგებსაც ვაღწევთ. მიხარია, რომ ჭიდაობას არაჩვეულებრივი მასწავლებელი – თამაზ მურუსიძე გვასწავლის“.*

გიორგი გორდეზიანი, IV კლასის მოსწავლე: *„როცა გავიგე, ჩვენს სკოლაში ჭიდაობის წრე ყალიბდებოდა, ძალიან გამიხარდა. ადრე ამის საშუალება არ გვქონდა. ახლა სკოლაში ყველაფერი გვაქვს იმისთვის, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესით ვიცხოვროთ“.*

ლუკა ლომთაძე, III კლასის მოსწავლე: *„ძალიან მიხარია, ჭიდაობაზე რომ დავდივარ, უამრავი მეგობარი შევიძინე. გაცილებით მეტი შევიტყვე სპორტსმენების შესახებ, ვიდრე აქამდე ვიცოდი. ჭიდაობაზე სიარულმა ჩემი დღის რეჟიმი შეცვალა. ახლა უკვე ჯანსაღი ცხოვრების წესით ვცხოვრობ.“*

ბექა ღოღელიანი, III კლასის მოსწავლე: *„ბოლო შეჯიბრზე მსუბუქი ტრავმა მივიღე, ცხვირიდან სისხლი წამსკდა, მაგრამ არ დავნებდი და ჭიდაობა ისევ გავაგრძელე, მესამე ადგილის მოპოვება მაინც შევძელი. ჩემი ოცნებაა, ჯერ საქართველოს ჩემპიონი გავხდე, მერე – მსოფლიო ჩემპიონი. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მიზანს მივაღწიო“.*

ილია ფოფხაძე, სოფელ ბუგეულის საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე: *„ჭიდაობაზე სიარული ერთი სოფლიდან მეორე სოფელში მიწევს. ძალიან მიჭირს, განსაკუთრებით ცუდ ამინდში. კარგი იქნებოდა, თუ სასკოლო ავტობუსი მოგვემსახურებოდა. ჭიდაობა ძალიან მიყვარს და მინდა, ბოლომდე გავყვე“.*

ლადო ფოფხაძე, სოფელ ბუგეულის საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლე: *„ჭიდაობაზე სოფელ ბუგეულიდან დავდივარ. მიუხედავად სიშორისა, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ დიდი ხალისით მოვეშურები ვარჯიშზე. ძალიან მიხარია ამხანაგურ ტურნირებში მონაწილეობა, ბევრი მეგობარი გავიჩინე. მინდა, წარმატებული სპორტსმენი გავხდე“.*

რეზო ჩიკვაიძე, სოფელ ჟოშხის საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე: *„ჭიდაობაზე სამი თვეა დავდივარ. ჩემთვის ადვილი არ არის გაკვეთილების შემდეგ, ვარჯიშზე მისასვლელად, რამდენიმე კილომეტრის გავლა. თუმცა, იმდენად მიყვარს ჭიდაობა, რომ დაღლილიც კი ენერგიულად ვვარჯიშობ და მასწავლებლის ყველა დავალებას ვასრულებ. სოფელ ჟოშხიდან მე და ჩემი მეგობრები – **შაქრო ჯაფარიძე**, **ნიკა** და **ლაშა ჭილვარიები** – ერთად დავდივართ“.*

ნიკა კენჭაძე, ჭრებალოს საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე: *„გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, თავისუფალ დროს უქმად ვკარგავდი. ხშირად, ქუჩაში მიწევდა ყოფნა. ახლა, როცა სკოლაში ჭიდაობის წრე გაიხსნა, უქმად ყოფნის დრო აღარ მრჩება. ძალიან მომწონს ჭიდაობა, დიდი მონდომებით ვვარჯიშობ, მინდა, ჩემი წარმატებებით სკოლა ვასახელო“.*

ნინო შიშინაშვილი

ჭრებალოს საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე

გამომცემლობა ბუნება პრინტი

www.bunebaprint.ge

ტელ: 32 64 96; 53 74 78

ბუნებისმცოდნეობა 1
თამარ გეგეჭკორი
ნანა ბარნაველი

მოკლე ინფორმაცია

144 აკადემიური საათი:
- 6 აკად. საათი – სარეზერვო
- 138 აკად. საათი – 25 თავი

ბუნებისმცოდნეობა 2
თამარ გეგეჭკორი
ნანა ბარნაველი

მოკლე ინფორმაცია

144 აკადემიური საათი:
- 16 აკად. საათი – სარეზერვო
- 128 აკად. საათი – 14 თავი:

შემაჯამებელი გაკვეთილი – 19
ტესტი – 19

ბუნებისმცოდნეობა 3
თამარ გეგეჭკორი
ნანა ბარნაველი

მოკლე ინფორმაცია

144 აკადემიური საათი:
- 14 აკად. საათი – სარეზერვო
- 130 აკად. საათი – 15 თავი:

შემაჯამებელი გაკვეთილი – 15
ტესტი – 15

ბუნებისმცოდნეობა 4
თამარ გეგეჭკორი
ნანა ბარნაველი

სტანდარტი: ბუნ IV. 1 – ბუნ IV. 12

144 აკადემიური საათი:
- 10 აკად. საათი – სარეზერვო
- 134 აკად. საათი – 13 თავი:

შემაჯამებელი გაკვეთილი – 13
ტესტი – 13

- **სახელმძღვანელოების კომპლექტები საჩუქრად**
- **პლაკატები საჩუქრად**
- **15 % ფასდაკლება** მე-2,3,4,7,8,9,10 კლასების სახელმძღვანელოებზე, საბუნებისმეტყველო ლექსიკონებზე
- **წიგნების სკოლაში მიტანა**
- **განვადება 2 თვე**
- **20 % ფასდაკლება მთაწმინდის პარკში**

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.